საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

შაბათი, 20 ივლისი 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი მხოლოდ 5 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (15 × 2) 200 მანეთი. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 161 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 161

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

## ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

დოიძიდე (კუკუ) ივანეს ძე ქუჩულორია დებით: ანა და ფედოსია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი დის მსგავს, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე 14 წლის

თამარა კირილეს ასულ ქუჩულორიას

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 საათიდან საკუთარ ბინაში ფოთის ქ. № 6. დაკრძალვა 21 ივლისს დიდუბის ეკლესიაში, დილით ოთხზე. (2350—2—2)

ღრმად დამწუხრებული მშობლები კირილე და ანეტა ქუჩულორიები შვილებით: ელიკა, ნინა, მიშა და ნატაშა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მიხეილის სავადმყოფოში საყვარელი 14 წლის

თამარას

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 საათიდან საკუთარ ბინაში ფოთის ქ. № 6. დაკრძალვა დიდუბის ეკლესიაში 21 ივლისს დილით ოთხზე. (2350—2—2)

გაუბედურებული დედა კანდუ მანუჩარის ასული გულუასა, გულდათუთქული დები: მაშიკო ცხვიტარიასი, ანასტასია ჩიგოგიძისა, ბაბო ლოლუასი, მარიამ გვიჩიასი და პარასკევა გულუა, რძალი ეკატერინე გულუა და ძმები ალექსანდრე და ანდრო ანტონის ძე გულუები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ტრაღიკულად გარდაცვალებას ძვირფასი

ილარიონ-ავქსენტი ანტონის ძე გულუასი

რომლის დასაფლავება მოხდება ს. ჭალადიდში 21 ივლისს. (2358 2—1)

უზომოდ შეწუხებული ნათესავნი გრიგოლ მაქსიმეს ძე გერსამია და ტარასი ალექსანდრეს ძე გუნია აუწყებენ ამხანაგ-მეგობრებს დაუვიწყარი

ავქსენტი ანტონის ძე გულუასი

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება 21 ივლისს (2358 2—1)

ნოსირის სკოლის მასწავლებელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს [illegible] ხანაგი—მასწავლებელი

ავქსენტი (ილარიონი) ანტონის ძე გულუასი

რომლის დაკრძალვა დანიშნულია ს. ჭალადიდში (სავეიჩიო) 21 ივლისს. (2358 1—1)

ღრმა დამწუხრებული ვატა დიმიტრის ძე მიქელაძე მეუღლით გაიანე პაპუნის ასული, ქალიშვილებით ნატაშა, ევდოკია, შვილები ვლადიმერ და სამსონი, სიძე ვარლამ პაპუას ძე კობახიძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, რომ კვირას, 18 ივლისს ქალაქ ფოთში უეცრად გარდაიცვალა მათი ძვირფასი

სამსონ (ფუხუ) ტაგუს ძე ლოლუა

(2365 1—1)

ღრმად დამწუხრებული და მარგარიტა ტაგუს ასული და სიძე ილარიონი ვატას ძე მიქელაძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 18 ივლისს უეცრად გარდაიცვალა მათი ძვირფასი

სამსონ (ფუხუ) ტაგუს ძე ლოლუა

პანაშვიდი ყოველ დღე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3365 1—1)

## თელავის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს ერთს ექიმს, ორს ექიმის თანაშემწეს, ერთს ბებიას. ექიმს და ორს საეპიდემიო ფერშალს შემდეგის პირობით: ექიმს და ექიმის თვიური ჯამაგირი 7200 მან., ფერშლებს 4200 მ., ექიმებს—გზობაზე, განათება და ბინა, ბებიას და ფერშლებს დღიური 250 მან. რაიონში წასვლის დროს. ექიმი საჭიროა მაზრის ცენტრში. სათანადო თხოვნები და „კურიკულუმ ვიტე“ უნდა წარმოადგინონ გამგეობას 1 აგვისტომდისინ 1920 წ. გამგეობა (2306—3—3)

## თელავის სამაზრო ერობაში

საჭიროა სკოლებისათვის ორი ინსტრუქტორი, ჯამაგირი თვეში დღიურებით იქნება 10.000 მ. მაზრის უმაღ. დაწყ. სკოლებისათვის საჭიროა 3 გამგე და 3 მასწავლებელი გრამატ. პირგ. დაწყ. სკოლების 30 მასწავლებელი. პირობები შემდეგია: უმაღლეს დაწყ. და პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთ მთავრობის კრედიტებს გარდა მიეცემათ ერობიდან 30% ერობის დამატება ფულად. გარდა ამისა სურსათით დახმარება დაკლებულ ფასებში. საჭიროა აგრეთვე თელავის სამგალითო სკოლისთვის გამგე, რომელსაც მიეცემა თვეში 4000 მან. მოხსენებაშია საჭიროა საბუთები და „კურიკულუმ ვიტე“, უნდა წარმოადგინონ სამაზრო ერობაში 1 აგვისტომდის 1920 წ. (2304—3—3) გამგეობა.

## თელავის სამაზრო

ერობის მე 5-თე ყრილობის დადგენილებით ერობის გამგეობა იღებს თავის ხარჯზე სამ სტიპენდიანტს უმაღლეს სასწავლებლებში, შემდეგ ფაკულტეტებზე: საექიმო, აგრონომიულ და სატექნიკოზე, აღდგომობის მაზრის მცხოვრებლები. პირობა შემდეგია სტიპენდიანტს—თვიურათ მიეცემათ 3000 მან. დახმარება და სწავლის ფასი. წლიწადში უნდა იმსახუროს წლიწად ნახევარი თელავის მაზრაში. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს ერობაში 15 მარიამობისთვემდის 1920 წ. (2305—3—3) გამგეობა.

## სენაკის სამაზრო ერობის

საექიმო სასანიტარო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ნოქალაქევის სამკურნალო ამანე განხსნილია 15 ივლისიდან, სადაც იმყოფება ერობის ექიმი, არის ბინაც შეკეთებული ბინები და ბუფეთი. (2359—1—1) სენაკის სამაზრო ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილება.

## მეფვიდე ყრილობა თფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა საბჭოსი

შესდგება ა. წ. 25 ივლისს, დილის 10 საათზე, (რუსთაველის პრ. ს. № 6) განსახილველად 1920—21 წ. ხარჯთაღრიცხვა და სხვა მიმდინარე საკითხები. (2361—1—1) გამგეობა.

## სახალხო კინო-თეატრი

ქალაქის შრომის ბირჟა

(მადათოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

პარასკევს 23 და შაბათს 24 ივლისს 1920 წ.

პროფესიონალურ კავშირების მდივანთა საბჭო მართავს ისტორიულ სურათის დემონსტრაციას პროფესიონალურ კავშირთა წევრებისათვის

„საზეიმო შემოერთება ბათომის საქართველოსთან“

ორი ნაწილისაგან მთელი თავის თავგადასავალით. სურათი შესდგება 19 ცალ-ცალკე მომენტებისაგან. ბილეთების ფასი წევრებისათვის ღირს 10 მან. ნაწილი შემოსავლისა იქნება გადადებული პროფესიონალურ კავშირების სასარგებლოთ. ბილეთები იყიდება ორშაბათიდან 19 ივლისს პროფესიონალურ კავშირის სეკრეტარიატში, ყოველ დღე 10—12 ს. და საღამოთი 6—8 ს. იმ დღეს კი როდესაც ნაჩვენები იქნება სურათი, სახალხო კინო-თეატრის კასაში, საღამოს 5 საათ. (2362—1—1)

ექიმი

ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი

იღებს სნებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74. 2048—თ.

## მესამე ინტერნაციონალი

მოსკოვში გაიხსნა „კომუნისტური ინტერნაციონალის“ მეორე ყრილობა. ის არსებითათ გაირჩევა პირველისაგან, რომელიც მოხდა ამ ერთი წლის წინეთ. მაშინ ლენინის ნაწარმოებ ინტერნაციონალს ჰქონდა ერთი მხრივ ჯგუფური-სექტანტური ხასიათი, მეორე მხრივ მის შემადგენლობას ემჩნეოდა აზიური ბეჭედი. იქ იყვნენ უფრო ჩინეთის, ოსმალეთის, სპარსეთის, ვიდრე მოწინავე ევროპის წარმომადგენლები.

იყო ამერიკიდან ერთი სოციალისტი, რომელიც ამერიკელმა ამხანაგებმა ომის გათავებამდის გამოგზავნეს სტოკჰოლმის საერთაშორისო თათბირზე დასასწრებლათ. ეს თათბირი სხვადასხვა მიზეზების გამო, როგორც ვიცით, არ შედგა. ამერიკელი წარმომადგენელი დარჩა რუსეთში, უეცრათ გაბალშევიკდა ოქტომბრის დღეებში და მერე ამერიკელი მუშათა კლასის სახელით ხელი მოაწერა კომუნისტურ ინტერნაციონალის მანიფესტს.

იყო საფრანგეთიდან „ამხანაგი“ გილ- [illegible] ნური პროლეტარიატის სახელით, თუმცა მანამდის საერთო არა ქონებია რა ამ პროლეტარიატთან და არ ეკუთვნოდა არც ერთ სოციალისტურ პარტიას.

იყო რუმინიიდან ცნობილი რაკოვსკი. რუსეთს ის არ მოშორებია რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე. ჯერ მემარჯვენე სოციალისტებთან მუშაობდა, ოქტომბერში ისიც მოულოდნელათ გაწითლდა და როგორც რუმინიის მუშათა კლასის წარმომადგენელი, შევიდა ლენინის ინტერნაციონალში. რუმინიის კომუნისტური პარტიის შესახებ ჩვენ არც მაშინ გვქონდა გაგონილი არაფერი, არც ახლა გვაქვს. რაკოვსკი მოსკოვიდან ქმნიდა იქ ამ პარტიას მარტო იმით, რომ მისი სახელით საერთაშორისო მოწოდებებს ხელს აწერდა.

ერთი სიტყვით, ეს ე. წ. „მესამე ინტერნაციონალი“ იყო რაღაც ქაღალდის ნახევებისგან აშენებული სახლი. არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა ამ შენობას. თითოეული მისი გამოსვლა ჰგავდა საპნის ქაფისგან აშვებულ ბუშტს და ბუშტივით სკდებოდა ერთი სულის შებერვით.

ახლა ეს აღარ ითქმის. ახლა ამ ინტერნაციონალის სხდომას ესწრებიან დასავლეთი ევროპის ნამდვილი მუშათა პარტიების წარმომადგენლებიც. აქ არიან ინგლისიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, არიან ის სოციალისტური და მუშათა წრეები, რომლებიც სულაც არ იზიარებენ ბალშევიკურ მრწამსს.

მათი მოსკოვში მოსვლა და ბალშევიკებთან ერთად ერთი სტოლის გარშემო სხდომა თავის თავათ დიდ მნიშვნელოვანი ფაქტია. ეს ნიშნავს გამბედავი მერანის და მშიშარა ირმის ერთ უღელში შებმას. ლენინი ზემოდან ქვემოდ უყურებდა ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის ზომიერ სოციალისტებს, რომლებიც ვერ ბედავდენ სოციალიზმისკენ ლენინური სისწრაფით სიარულს. მისი ჩაგონებით დაწერილი მანიფესტი ომს უცხადებდა როგორც იმპერიალისტებს, ისე სოციალისტებს. მანისფესტში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ თუ იმპერიალიზმის დამარცხება გვინდა, ჯერ უნდა შევებრძოლოთ სოციალისტურ ცენტრსაცო. ამ ცენტრის წარმომადგენლებათ ითვლებოდნენ, სხვათა შორის, ისინი, ვინც დღეს ესტუმრენ იქიდან მოსკოვის ინტერნაციონალს.

ამას ახლა აღარ ეძახიან მარტო კომუნისტურს. ახლა ის შერეული სახელით არის მონათლული. არქმევენ კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ინტერნაციონალს.

ლენინს და მის მიმდევრებს ალბათ ხელი აუღიათ იმ მთავარ დებულებაზე, რომელიც შეადგენდა მათი პირველი მოწოდების დედა აზრს. ახლა ისინი თანამშრომლობენ იმ „გარყვნილ, შეთანხმებელ“ სოციალისტებთან, რომლებსაც შარშან სამოქალაქო ომს უცხადებდენ. თითონ ამ სოციალისტებს კი არ გამოუცვლიათ თავისი მსოფლ-მხედველობა. მათი მოსკოვში მისვლა მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ დათმობის და შეთანხმების გზაზე შემდგარა ლენინის შეურიგებელი პარტია. დაუკარგავს წინანდელი ჯგუფური სახე, ჩამოურეცხია აზიური ბეჭედი და ცოცხალი კავშირი დაუჭერია ევროპის მუშათა მოძრაობასთან.

ეს დიდი ნაბიჯია წინ, და ჩვენ ვესალმებით ამ ნაბიჯს, რამდენათაც გვწამს, რომ სოციალისტური რევოლიუციის ხელმძღვანელობა გადავა ისევ დასავლეთ ევროპის ხელში.

შეიძლება ევროპიელი სოციალისტები არ გაჩერდენ ბოლომდის და გაეცალენ „მესამე ინტერნაციონალს“. მაშინ ამას დაკარგული ექნება ყოველნაირი მიმზიდველობა დასავლეთ ევროპის მუშათა კლასში. ევროპისგან მოწყვეტილი ის დაჭკნება და დაირღვევა. ინტერნაციონალი ვერ ისაზრდოებს მარტო აზიის შეუმუშავებელ ნიადაგზე.

შეიძლება ევროპიელები დარჩენ ბოლომდის, შეიძლება ახალ საერთაშორისო მოწოდებას მათი ხელიც მოეწეროს. ეს მოხდება დიდი დათმობით ბალშევიკების მხრივ. ეს იქნება ევროპის გამარჯვება და მოსკოვის დამარცხება სოციალისტურ მოძრაობაში.

## გაკვრით

პოლემიკა კარგია, იგი სიმართლეს არკვევს და აზრს აცხოველებს, მაგრამ კარგია მაშინ, [illegible] ლოღიკას იცავს. ჩვენი მოპირდაპირე უსახელო ავტორი, რომელმაც მოათავსა „კომუნისტის“ — № 21 და 22-ში წერილი: „მოქალაქე რაჟდენიძეს“ (გაზ. „ერთობის“ მკითხველების საყურადღებოთ), ამ მთავარ აუცილებელ პირობას მოკლებულია. იგი ამას არც მალავს: ლოღიკის დაცვაზე ყვირილი მას ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობათ, აზროვნების დაცემის ნიშნად მიაჩნია, და ცხადია, ულოღიკობა—რევოლიუციონერობათ.

ერთი უნდა აღვნიშნოთ, თუ რამეა მუდმივი და უცვლელი მის წერილებში, ეს თავის ნათქვამის უარყოფა, ლოღიკის სისტემატიური დარღვევა და ცნებების არევ-დარევა. ამაში იგი დიდ სიმტკიცეს იჩენს.

ჩვენ გულწრფელათ ვურჩევთ „ერთობის“ მკითხველებს, თუ მათ სურთ ბალშევიკების აზროვნების ნიმუშს გაეცნონ და სასჯელს მიიღებენ თავის თავზე, გადაიკითხონ აღნიშნული წერილები უსახელო ავტორის. ვურჩევთ ამასვე „კომუნისტის“ მკითხველებს,—ერთი სცადონ ამ წერილებიდან რაიმე გარკვეული აზრის გამოტანა: მაშინ დარწმუნდებიან უსახელო ავტორის ზემოაღნიშნულ ღირსებებში.

ჩვენის მხრით მხოლოდ დავუმატებთ, რომ ყველა ეს „ღირსებები“ შედეგია არა მოპირდაპირის პიროვნული თვისებების, არამედ იმ მოძღვრების, რომელსაც იგი აღიარებს.

ახლა კი ჩვენ სანიმუშოთ აღვნიშნავთ ზოგიერთ წინააღმდეგობას ჩვენი პატივცემული მოკამათისას.

პირველი და მთავარია არევა კამათის დემოკრატიაზე. ჩვენ ვამბობდით: „სახელმწიფოს აპარატის სრული დემოკრატიზაცია ერთის მხრით და სოციალისტური ეკონომიური პოლიტიკა მეორეს მხრით, აი ამ გზით მიდის ჩვენი სოციალდემოკრატია“ (იხ. „ჩვენი გზა“ „ერთობა“, № 150), ეს ნიშნავს დემოკრატიულ ფორმების გაბატონებას პოლიტიკურ სფეროში და თანდათან სოციალისტური გარდაქმნას ეკონომიკაში, ე. ი. მუშათა კლასის დიქტატურის განხორციელებას. პროლეტარიატის მიერ პოლიტიკურ ძალა-უფლების დაპყრობის სავსებით გამოყენებას სწორეთ პროლეტარიატის საბოლოო მიზნისთვის. ჩვენმა უსახელო მოკამათემ ჯერ ამ დემოკრატიას—დიქტატურა დაუპირდაპირა და როცა ულოღიკობა ვამხილეთ, ახლა მომდგარა და იძახის: მე თქვენს დემოკრატიაზე ვლაპარაკობდი და იმას ვებრძოდიო. ხოლო თქვენი დემოკრატიზმი არის „ბურჟუაზიული დემოკრატიზმიო“, ჩვენ კი ვეტრფით პროლეტარულ დემოკრატიზმსო; „ჩვენ ლაპარაკი გვაქვს ერთი მხრით „დემოკრატიის“, ბურჟუაზიული დემოკრატიის ბატონობაზე, ხოლო მეორე მხრით პროლეტარიატის დიქტატურაზე (იგივე პროლეტარული დემოკრატიის ბატონობაზე“) და არა დემოკრატიზმზე საერთოდ“. (იხ. „საქ. კომუნ.“ № 21 სტ. „მოქ. რაჟდენიძეს“) და შემდეგ განაგრძობს: „და თუნდაც ასე იყოს: განა არ შეიძლება „ბურჟუაზიული დემოკრატიზმი“, როგორც ერთი ფორმა, დაუპირდაპიროთ მეორეს—პროლეტარულ დემოკრატიზმს?“ (იქვე).

განვიხილოთ ეს ამონაწერი. თვით მოპირდაპირემ აქ აღიარა, რომ არის ორნაირი დემოკრატია—ბურჟუაზიული და პროლეტარული. რაშია მათ შორის განსხვავება? რასაკვირიელია არა იმაში, რომ იგინი დემოკრატიააო, ე. ი. არა მათ პოლიტიკურ ფორმაში, არამედ შინაარსში: ფორმა ორივე შემთხვევაში ერთია: დემოკრატიული, შინაარსი კი სხვადასხვა—ერთში ბურჟუაზიული, მეორეში პროლეტარული. მაშასადამე პროლეტარიატის დიქტატურა შეიცავს პოლიტიკურ დემოკრატიას და სოციალისტურ, ე. ი. პროლეტარულ ეკონომიკას. ე. ი. იმას, რაც ჩვენ ვაღიარეთ „ჩვენ გზაში“.

ჩემს მოკამათეს კი უნდა ბურჟუაზიული და პროლეტარული დემოკრატია ფორმის მხრივ დაუპირდაპიროს ერთმანეთს და არა შინაარსის მხრივ. და ამ ულოღიკობას სჩადის იმიტომ, რომ საბჭოთა წყობილებაც დემოკრატიათ გაასაღოს, ე. ი. კომისართა ბატონობა და ტერორის სამეფო მუშათა იდეალათ დასახოს.

აი მოუსმინეთ: „ფორმალური დემოკ- [illegible] ფია ბურჟუაზიის პოლიტიკური შემოქმედების, ხოლო ნამდვილი შინაარსიანი დემოკრატიზმი ანუ საბჭოთა დემოკრატია (?—ნიშანი ჩვენია)—ეს შედეგია პროლეტარიატის რევოლიუციონურბრძოლის და შემოქმედების, ე. ი. პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობის“. საბჭოთა დემოკრატია! არ გაგეცინება მკითხველო? დემოკრატიული წყობილება ყოფილა კომისართა და „ჩრეზვიჩაიკათა“ სამფლობელოში, დახვრეტისა და ტერორის რეჟიმში. ამის დასამტკიცებლათ ამტვრევს ლოღიკას, აზრს, გონებას და ცოდვილობს ჩემი მოკამათე. რაღა უნდა ელაპარაკო ასეთ მოპირდაპირეს?

ასეთმა „მარქსისტმა“ რომ ვერც კაუცკის აზრი გაიგოს და ვერც მარქსის,—ეს განა გასაკვირველია?

და ჩვენც არ შევუდგებით მისგან გადამახინჯებულ კაუცკის აზრების აღნუსხვას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მან თავის წერილებში პირდაპირ წინააღმდეგი აზრი მიაწერა ორივეს, ვინემ მათ გამოუთქვამთ.

აქ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი გარემოება—ეს მთელი მეცნიერული სოციალიზმის დედა-ძარღვის, სრულიად უდავო ულვთოთ გადამახინჯება.

თავის პასუხში („კომ.“ № 22) ავტორი სწერს:

„როგორც ვიცით, მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე ამ კითხვის (ე. ი. კაპიტალიზმის დამხობის, გაუქმების) ცხოვრებაში გატარება სოციალისტებს შესაძლებლათ და საჭიროთ მიაჩნდათ ყველა ხალხებისათვის და კიდეც ცდილობდენ ისინი ამის ცხოვრებაში გატარებას პრაქტიკულად.

მაგრამ მეცხრამეტე საუკინის ნახევარშივე აღმოჩნდა, რომ ამ კითხვის გადაჭრა არც შესაძლებელია **და არც საჭირო**, ვიდრე ამისთვის ობიექტიური პირობები არ მომწიფებულა“. ეს უდიადესი აღმოჩენა, როგორც იცით, ეკუთვნის მარქსს და ენგელსს“. ჩვენ ვიცით, რომ მარქსს ასეთი უაზრობა არ აღმოუჩენია, თითქოს მუშათა კლასისთვის სოციალიზმი საჭირო არ იყოს.

მან, მარქსის უცოდინარნო, აღმოაჩინა, რომ ასე დაყენება კითხვის, როგორც ეს უტოპისტებს ქონდათ დასმული, არის საკითხის უტოპიური, ფილანტროპიული დაყენება. და მან წამოაყენა საკითხი: ისტორიულათ აუცილებელია, სოციალიზმი თუ არა? და დაამტკიცა რომ აუცილებელია, როგორც შედეგი საწარმოვო ძალთა განვითარებისა.

ამის შემდეგ, რა გასაკვირველია, დიდ სისულელეთ გვითვლიდეს მოკამათე იმას, რომ ჩვენ სოციალისტური რევოლიუციის **აუცილებელ** პირობას ვეძებდეთ, და ამ აუცილებლობას ვხედავთ საწარმოვო ძალთა განვითარებაში და მთელი დემოკრატიული წყობილების განხორციელებაში.

მაგრამ ამას არ თვლიან სისულელეთ არც მარქსისტები და არც ევროპიელი ბალშევიკები. ეს მხოლოდ ჩვენი კომუნისტების ჭკუა-გონების ნაცოდვილევია. თუ ასე არაა, მაშ სისულელე უთქვამს გერმანელ ბალშევიკს და კომუნისტს: როზა ლიუქსემბურგს, როცა იგი სწერდა: „თუ დემოკრატია გახდა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რამდენიმეთ ზედმეტი, რამდენიმეთ კი დამაბრკოლებელი ბურჟუაზიისთვის, სამაგიეროთ პროლეტარიატისთვის ის საჭიროა და აუცილებელი. ის საჭიროა, პირველი, იმისთვის, რომ ქმნის ისეთ პოლიტიკურ ფორმებს, როგორც თვითმართველობა, საყოველთაო საარჩევნო უფლება და სხვა ამგვარი, რომელნიც წარმოადგენენ პროლეტარიატისთვის წინასწარ პირობას და დასაყრდნობ პუნქტს, და სამსახურს უწევენ მას ბურჟუაზიული წყობილების გარდაქმნის დროს. ის, მეორეთ, აუცილებელია იმიტომ, რომ მხოლოდ დემოკრატიული ფორმებისთვის ბრძოლაში და თავისუფლებებით სარგებლობის პროცესში პროლეტარიატი იმუშავებს თავის კლასიური ინტერესების და ისტორიული მიზნების შეგნებას. ერთი სიტყვით, დემოკრატია, როგორც ასეთი, აუცილებელია არა იმისათვის, რომ **ზედმეტათ** გახადოს პროლეტარიატისაგან პოლიტიკური უფლების დაპყრობა, არამედ, პირ-იქით იმისთვის, რომ ის (აბა დააკვირდით! რაჟდენიძე) **აუცილებელს ხდის ასეთ დაპყრობას და იძლევა მის ერთათ-ერთ შესაძლებლობას**. („სოც. რევ. თუ რეფორმა“, გვ. 80—81).

როგორც ხედავთ, მთელი ეს ამონაწერი კვინტესენციაა იმის, რაც ჩვენ აღვნიშნეთ. და ისე სცემს ცხვირში ჩემი მოკამათე რუსულ კომუნისტს, თითქოს საგანგებოთ მისი აზრთა არეულობის დასასამარებლათ იყოს დაწერილი.

ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია აღარ ვეკამათოთ ავტორის სხვა აზრებს: თითქოს ჩამორჩენილ ქვეყანასაც ისე შეუძლია გაუძლვეს მოწინავეს, როგორც ეს უკანასკნელი უძღვება და თითქოს ობიექტიურ პირობების მაგიერ საკმაო იყოს მომენტის ძალთა განწყობილება, იმისთვის, რომ სოციალიზმი ხელათ განახორციელო და ასე ბებრუხანა ისტორია მოატყუო და მეცნიერული გამოკვლევა ფაქტის წინაშე დააყენო. ეს პირწმინდა იდეალიზმია და ბლანკიზმი.

ამით ვათავებთ კამათს, რადგან ჩიტი ბდღვნათ არ ღირს. აქ აღძრულ კითხვებს კი შემდეგში ვეცდებით დადებითად დავუბრუნდეთ.

**რაჟდენიძე.**

## საეკონომიო-საფინანსო წერილები

I.

ბიუჯეტის გამო.

ჩემ წინ დევს დაბეჭდილი „სახელმწიფოს 1919—1920 წ. ბიუჯეტი,“ შედგენილი დამფუძნებელი კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ. ფინანსთა მინისტრის მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა იმდენათ მოძველდა, რომ კომისიას დასჭირდა თითქმის სრულიად ახალი ხარჯთ-აღრიცხვის შემუშავება. მაგრამ ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა ისეთი სისწრაფით იცვლება, მცირე დროს განმავლობაში იმდენი ახალი ხარჯები და ახალი გადასახადები ხორციელდება, რომ რამოდენიმე თვით წინასწარ მთელი წლის შემოსავლის და გასავლის გათვალისწინება შეუძლებელი ხდება. ამიტომ კომისიის ბიუჯეტს უფრო სანიმუშო ხასიათი აქვს და სინამდვილესთან ძალიან დაშორებულია. კომისია იძულებული გახდა ხელოვნურად შეჩერებულიყო რომელიმე დატაზე. ის შეჩერდა 1920 წლის 1 იანვარზე. ამნაირად 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, მთელი წლის შემოსავალ-გასავალი, გამოანგარიშებულია იმ შემოსავლების და გასავლების მიხედვით, რომელთაც საფუძვლათ აქვს ის კანონები და დეკრეტები, რომლებიც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო 1920 წლის 1-ლ იანვრამდე. საბიუჯეტო წელიწადი თავდება 1 ივლისს. პირველი იანვრის შემდეგ კი სახელმწიფო ხარჯები ძლიერ გაიზარდა. ეს ზრდა იყო გამოწვეული საქონლის გაძვირებით, ბონების ღირებულების დაცემით, და ჯამაგირების გადიდებით. ამ თანამედროვე ფინანსიურ ბუნებრივ მოვლენებზედ დაემატა განუწყვეტელი ბრძოლა სხვადასხვა ფრონტებზე, მობილიზაცია და მოულოდნელი სამხედრო ხარჯები; მაგრამ თუ ხარჯებმა იმატა—იმატა შემოსავალმაც, მხოლოდ რასაკვირველია გასავლის ზრდა შესამჩნევათ სჭარბობს შემოსავლის ზრდას.

ფინანსთა მინისტრის ვარაუდით, რომელიც იყო დამყარებული 1918—1919 წლის კანონ-დეკრეტებზე, შემოსავლის საერთო ჯამი უდრიდა 797,4 მილიონ მანეთს; ამდენივე იყო გასავალიც ნავარაუდევი. სინამდვილემ ორივე მხრით გადააჭარბა ამ ვარაუდს, 1920 წ. 1-ლ

# პროფესიონალურ და კოოპერატიულ მოძრაობის შესასწავლი კურსები

საქ. პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საქ. კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი და თფილისის საავადმყოფო კასის გამგეობა აწყობს შემოდგომისათვის სამი თვის ვადიან კურსებს პროფ. მოძრაობისა, კოოპერაციის და დაზღვევის საქმეების შესასწავლად. (კურსების გახსნის დრო შემდეგ იქნება გამოცხადებული).

კურსებზე მეცადინეობა იქნება საღამოობით 6—9 საათამდე, დღისით კი პრაქტიკული მუშაობა ორგანიზაციებში. მეცადინეობა იქნება უსასყიდლოთ. უპირატესობა მიეცემა მუშათა და კოოპერატივთა ორგანიზაციების კანდიდატებს.

პროვინციელებისათვის იქნება უსასყიდლო ბინა.

მსმენელნი გამოცდილი იქნებიან წინდაწინ რექტორთა კოლეგიის მიერ.

ვთხოვთ პროფ. კავშირებს და კოოპერატივებს შეუდგენ სამზადისს და გამონახონ სასურველი კანდიდატები.

კურსებზე წაიკითხება ლექციები შემდეგ საგნებზე:

1. პოლიტიკური ეკონომია.
2. მუშათა კანონმდებლობა.
3. მუშათა მოძრაობის ისტორია.
4. პროფეს. მოძრაობის თეორია და პრაქტიკა.
5. სტატისტიკა და ფინანსები.
6. დაზღვევა.
7. ისტორია და თეორია კოოპერატიული მოძრაობისა.
8. ორგანიზაცია და პრაქტიკა პროფ. მოძრაობისა.
9. ორგანიზაცია და პრაქტიკა კოოპერ. მოძრაობისა.
10. ბუჰგალტერია.
11. პროფ. მოძრაობა საქართველოში.
12. კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში.

საჭირო ცნობების მისაღებათ მსურველთ შეუძლიათ მიმართონ კურსების მომწყობ საორგანიზაციო კომისიას შემდეგი მისამართით: თფილისი, რუსთაველის პრ. მუშათა სასახლე სართული 4, ოთახი 5, ტელ. 3—56.

კურსების მომწყობი **საორგანიზაციო კომისია.**

---

იანვრამდე არსებულ ხარჯების და შემოსავლის მიხედვით საბიუჯეტო წლის ბოლომდი, სახელმწიფო გასავლების საერთო ჯამი საბიუჯ. კომისიის გამოანგარიშებით უნდა ყოფილიყო 1.960,5 მილ. მან., შემოსავალი კი—1.163,5 მილ. მან.; მაგრამ ამ უკანასკნელ ციფრს უნდა მიემატოს მომარაგების სამინისტროს ოპერაციებისაგან მოსალოდნელი მოგება—796,9 მილ. მან. ამნაირად შემოსავალ-გასავალი ერთი მეორეს უსწორდება.

თუ გასავლის მაჩვენებელი ციფრები უეჭველია, იგივე არ ითქმის ყველა შემოსავლების შესახებ. მაგალითად, შემოსავალი „სახაზინო ქონებიდან და თანხებიდან“ ნავარაუდევია 747,3 მილ. მან., მაგრამ ამ თანხაში შედის მიწის ფონდის კერძო საკუთრებად გადაცემის შემოსავალი—252 მილ. მან., და ეს წყარო საეჭვო წყაროა, მაშასადამე, საბიუჯეტო თანაწონობა კომისიის მიერ შემოვლებულ ფარგლებშიაც საეჭვოა. ეხლა 1919—1920 საბიუჯეტო წელიწადი შესრულდა და ფინანსთა სამინისტროს უკვე გამორკვეული აქვს შემოსავალ-გასავალთა საერთო ჯამი. ფაქტიური გასავალი უდრის 3.570,4 მილ. მან., შემოსავალი კი სხვადასხვა წყაროებიდან, გარდა ემისიისა (ე. ი. ბონების საბეჭდავი მანქანისა),—უდრის დაახლოვებით ორ მილიარდს.

1919—1920 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ხარჯები იყო ნავარაუდევი:
სამინისტროსი — 797,4 მილ. მან.
ნამდვილი გასავალი — 3.570,4 „ „

წლის დასაწყისში სამინისტროს ფინანსიურ-ეკონომიური გამჭრიახობა ვერ გაერკვა რთულ პირობებში და ივარაუდა სახელმწიფო ხარჯები 800 მილიონამდე, ნამდვილათ ხარჯები კი ავიდა 3.570,4 მილ. მანეთამდე. ახლა სამინისტრო 1920—1921 საბიუჯეტო წლის ხარჯებს ვარაუდობს 7 მილიარდ მანეთამდე. სინამდვილე გაამართლებს თუ არა ამ ანგარიშს, კითხვაზე გადაჭრილი პასუხის მიცემა დღეს შეუძლებელია.

ასეთია მშრალი ციფრები. ციფრებს უნდა ანალიზი, და ეს უკანასკნელი არ არის საფ.-საბიუჯ. კომისიის განმარტებით ბარათებში. ბარათები მოგვითხრობენ მხოლოდ იმას, თუ რა ცვლილებები შეიტანა ფინანსთა მინისტრის ხარჯთაღრიცხვაში ახალი კანონმდებლობით დამტკიცებულ ხარჯებმა. კრიტიკული განსჯა-განმარტება ხარჯებისა და შემოსავლის წყაროებისა განმარტებით ბარათებში არ არის. არის ბიუჯეტში ერთი უმნიშვნელო შენიშვნა ხარჯის შემცირების შესახებ, რომელსაც უფრო პრინციპიალური ხასიათი აქვს, და ეს შენიშვნა გამოხატავს კომისიის სურვილს „არ მიეცეს არავითარი დახმარება სახელმწიფო ხაზინიდან სხვადასხვა სარწმუნოებათა დაწესებულებებს, რის შესახებ გატარდეს სათანადო კანონი. ეს,—ამბობს ბიუჯეტის ერთი შემდგენელთაგანი,—გაანთავისუფლებს სახელმწიფოს სრულიად ზედმეტ ხარჯებისაგან, რომლებიც ეხლა მას სრულიად უსარგებლოდ აწევს“. ეს მძიმე ტვირთი, რომელმაც მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება ჩვენი ბიუჯეტის მკვლევართა და მათ შორის ნ. იმნიაშვილის, უდრის 1,726,055 მანეთს.

ამ მცირე შენიშვნის გარდა საფ.—საბ. კომისიის მიერ წამოყენებულია შემდეგი ზოგადი მოსაზრებები. კომისია ამბობს: „კომისია იზიარებს ფინანსთა მინისტრის მოსაზრებებს, რომელიც მოყვანილია მის განმარტებით წერილში და თავის მხრივ გამოსთქვამს შემდეგ სურვილებს:

„1. საჭიროა გაბედული ნაბიჯების გადადგმა გადასახადების სისტემის შესაცვლელად ისე, რომ ის (ნაბიჯი თუ სისტემა? დ. თ.) იყოს აგებული შემოსავლის საფუძველზე“.

„2. საჭიროა ჩვენში წარმოების განვითარება, რომ ჩვენი ქვეყანა არ იქნეს მარტო ნედლი მასალის გამზიდავ მხარედ და სხვისი ნაწარმოების მომხმარებლად. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე გამოყენებულ უნდა იქნეს. იქ სადაც თვით სახელმწიფოებრივ და თვითმართველობის ორგანიზაციებს არ ძალუძს ამ წარმოების მოგროვება, ადგილი კერძო ინიციატივას უნდა მიეცეს“.

„3. საკუთარი ფულის შექმნა დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობას“.

„4. სავსებით უნდა იქნეს დაცული სახელმწიფოს ერთი კასის სისტემა. ყველა შემოსავალი თავს უნდა იყრიდეს ერთ სახელმწიფო კასაში; თითეულმა უწყებამ საჭირო საოპერაციო თანხები წინასწარ უნდა გამოითხოვოს“.

ამ სიტყვებით სავსებით ამოწურულია ზოგადი მოსაზრება-მსჯელობა განმარტებითი ბარათისა, რომელიც წინ უძღვის კომისიის მიერ შედგენილ ბიუჯეტს. ასეთი განმარტებითი ბარათი არავითარ მასალას არ იძლევა, რომ ჩვენ შეგვეძლოს ვიქონიოთ რაიმე წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს ავტორი, როდესაც ლაპარაკობს „გაბედული ნაბიჯის გადადგმაზე გადასახადის სისტემის შესაცვლელად“. არის არა ერთი სისტემა გადასახადებისა, რომელიც არის „აგებული შემოსავლის საფუძველზე“. რომელი სისტემას გულისხმობს საბიუჯ.-საფინ. კომისიის ხელმძღვანელი?

არც მეორე და მესამე დებულებებით იძლევა ჩვენი ავტორი რაიმე სახელმძღვანელო მოსაზრებებს. რომ წარმოების განვითარება და თუ შესაძლებელია „საკუთარი ფულის შექმნა“ კარგია,—ეს ყველამ იცის, და დედა-მიწის ზურგზე ყოველგან უდავოთ მიღებული დებულებაა, მაგრამ თუ ამ დებულებას თან არ ახლავს რაიმე პრაქტიკული და თეორიული საგულისხმო მოსაზრებები, მარტო ასეთი მშრალი—ზოგადი დებულებების თქმა არაფრის თქმას უდრის.

საფ.-საბიუჯ. კომისიამ გამოიჩინა სურვილი, რომ განმარტებით ბარათში გადასახადის ახალი სისტემა იქნეს შემოღებული, მაგრამ სრულიად არ იხსენიებს იმას, რაც უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, როდესაც ვიწყებთ კვლევა-მსჯელობას სახელმწიფოს ბიუჯეტზე და გადასახადების სისტემა-განაწილებაზე. უნდა ყოფილიყო აქ წამოყენებული კომისიის აზრი კომუნათა ბიუჯეტზე, რომელიც განუყოფელი ნაწილია სახელმწიფოს ბიუჯეტისა. ყველა ამ კითხვებზე მოკლეთ უნდა ყოფილიყო გაცემული პასუხი განმარტებითი ბარათში. ამ კითხვების განმარტება ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია.

**დ. თოფურიძე.**

# პრესა

„ნორ-აშხატავორი“ ადერბეიჯანელ კომუნისტების მოქმედების შესახებ წერილში, რომელსაც სათაურად აქვს—„ჩვენ ბრძოლაზე უარს არ ვიტყვით“, სხვათა შორის, სწერს:

„ვადევნებდით რა დიდი ეჭვებით თვალყურს ადერბეიჯანის ტრაგი-კომედიას, ჩვენ მაინც დარწმუნებულნი ვიყავით, რომ საბჭოთა მმართველობის წესი ბოლოს მოუღებს სომხების დევნას ადერბეიჯანის ფარგლებში და ხელს შეუწყობს ორ მეზობელ ქვეყნის დე დემოკრატიის დაახლოვებას.

მაგრამ ფაქტებმა არ გაამართლეს ეს პატარა იმედებიც კი „საბჭოთა სოციალისტურ და სხ.“ ადერბეიჯანის რევკომის პირველი ნაბიჯი იყო სოსომხებისადმი გაგზავნილი ულტიმატუმი, რომელსაც მოჰყვა სომხების დევნის ვაკხანალია. ციხეში ათავსებდენ და ხვრეტდენ სომეხ ინტელიგენციას, გლეხობისა და რევოლიუციონურ აზრის საუკეთესო წარმომადგენლებს; ანადგურებდენ და ძარცვავდენ სომხების სოფლებს სომხეთის განუყოფელ ნაწილში—ყარაბაღში და ყაზახში. ბოლშევიკებმა აშკარათ გამოიწვიეს ბრძოლაში სომხეთი, შეიარაღდენ ტერორით და კერძოთ ბრძოლა დაიწყეს სომხეთის რევ. პარტიის—დაშნაკცუტიუნის წინააღმდეგ; მათ დახვრიტეს უკანასკნელის პასუხის მგებელი მოღვაწეები.

ასეთ პირობებში ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რათა გადავსინჯოთ ჩვენი დამოკიდებულება ბოლშევიკებისა და საერთოდ მათი მოქმედების ხაზისადმი. ჩვენ არ შეგვიძლია გაჩუმებული ვიყოთ მაშინ, როდესაც ჩვენს ამხანაგებს ხვრეტენ; ჩვენ არ შეგვიძლია სომხეთის მშრომელთა კლასის მომავალი ერთი მუჭა ავანტიურისტების თვითნებობის საგნათ გადავაქციოთ.

სომხეთში მომხდარ ამბების დროს სომხეთის მთავრობა სულგრძელათ ეპყრობოდა **იდეურ კომუნისტებს**; ბაქოში კი იმათი პარტია აპატიმრებს და ხვრეტს მის ხელში ჩავარდნილ ყველა ცოტათ თუ ბევრათ ცნობილ დაშნაკცაკანებს. როგორ უნდა გავიგოთ ეს? ნუთუ ბოლშევიკებმა არ იციან, რომ სომხეთის რევოლიუციონური პარტია—დაშნაკცუტიუნი მუშაების და ინტელიგენტების პარტია არ არის და მისი დამარცხება ვერ შესძლეს ყველაზე უფრო სისხლის მსმელმა ოსმალეთის სახელმწიფომ თავისი მუქარით და სახრჩობელებით და ყველაზე უფრო საშინელმა რუსეთის დესპოტიამ? ნუთუ ისინი ფიქრობენ გადააჭარბონ მათ?

ტყუილი იმედია!

სომხეთის რევოლიუციონური პარტია დაშნაკციუტუნი — სომხეთის შეკავშირებული რევოლიუციონური მშრომელი კლასია. იგი პატივს სცემს იდეას და მის გულისათვის შეუძლია ჩუმად მოკვდეს, იგი აქ არაფერს დასთმობს, არავითარ კომპრომისებზე არ წავა. 30 წლის განმავლობაში იდგა იგი რევოლიუციონურ ბრძოლისა და ტერორის გზაზე ტირანების წინააღმდეგ; და ამ იარაღებით მას ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებენ მოუმწიფებელი კომუნისტები და „კიასარახჩი ბოლშევიკები“.

ჩვენ ვისურვებდით, რათა მალე შეიგნონ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება საბჭოთა რუსეთის, ადერბეიჯანისა და კომუნისტურ პარტიის პასუხისმგებელ ხელმძღვანელებმა და რაც შეიძლება მალე მოუღონ ბოლო სომხეთის, სომხეთის მშრომელ კლასისა და განსაკუთრებით დაშნაკცუტიუნის წინააღმდეგ მიმართულ დევნას და სამტრო მოქმედებას.

დეე, თავის დროზე წაიღონ უკანვე ასე სულელურათ გადმოსროლილი ხელთათმანი სომხეთისა და დაშნაკცუტიუნისაკენ, თორემ არც ერთი მათგანი არ დაიხევს უკან ბრძოლის წინაშე. სომხეთის რევოლიუციონური ნემეზიდა არას დროს არ ილაშქრებდა იდეურ მტრების წინააღმდეგ. მაგრამ როდესაც იდეა ითელება, როდესაც თავს იჩენს თავაშვებული ავანტიურიზმი, რომელიც საფრთხეს უმზადებს სომხეთის მშრომელ კლასის მონაპოვარს, ამ კლასის ფიზიკურ არსებობას,—მაშინ უკან დახევა და მეტყეობა დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოს.'

დღეს დაშნაკცუტიუნი დილემას წინაშე სდგას. და თუ ჩვენს „მეგობრებს“ არა ჰსურთ შეიგნონ სომხეთის დემოკრატიის მძიმე ბედი, — მაშინ ჩვენი ბრალი არ აქნება, თუ ჩვენ კვლავ დავკრავთ მკაცრ რევოლიუციონურ ბრძოლის დაფსა და ნაღარას, დავიწყებთ საერთაშორისო სოლიდარობას და კლასთა ბრძოლას და აღვმართავთ სომხეთის ხალხის საუკეთესო შვილთა სისხლით განბანილ ალამს—„სიკვდილი, ან თავისუფლება“.

ხელთათმანი გადმოსროლილია... ბრძოლაზე დაშნაკცუტიუნი არას [illegible]

# საბჭოთა რუსეთში

**ბოროტ-მოქმედთა ბანდა „მოსკვოტოპში“.** „პრავდაში“ მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „სრულიად რუსეთის ჩრეზვიჩაიკის საიდუმლო განყოფილებამ „მოსკვოტოპში“ აღმოაჩინა ბოროტმოქმედება მთელ რიგ პასუხისმგებელ მოღვაწეებისა. ამ ბანდას რამოდენიმე ხნის განმავლობაში რამდენიმე მილიონათ ღირებული საქონელი გაუყიდია და გაუფლანგავს. დააპატიმრეს ამ საქმის მომწყობნი—გოლდმანი, [illegible], არნსონი, დომშლაგი და სხვ.“.

ამ ბოროტ-მოქმედების შესახებ ამავე „პრავდა“-ში მოთავსებულია წერილი—„პასუხისმგებელ მუშების“ სათაურით. ავტორი სწერს:

„ჩვენ ძალიან ბევრი პასუხის მგებელი მუშები გვყავს. მაგრამ შეცდებით თუ იფიქრებთ, რომ ასეთი პირები რაიმე პასუხის მგებლობას გრძნობენ თავიანთ მუშაობისთვის. „პასუხის მგებელი“ მუშები—კომუნისტები და არა კომუნისტები სოკოსავით მრავლდებიან, მაგრამ ეს წოდება ამ პირებს მხოლოდ იმიტომ უნდათ, რათა ისარგებლონ საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურეთა პრივილეგიური მდგომარეობით. დღევანდელ ნომერში თქვენ წაიკითხავთ ცნობას იმის შესახებ, რომ „მოსკვოტოპში“ ჩაუდენიათ მრავალ მილიონის ბოროტმოქმედება. ეს ჩაიდინეს ეგრეთ წოდებულმა „პასუხისმგებელმა“ მოღვაწეებმა საბჭოთ, მაგრამ უპასუხისმგებლებმა არსებითად. შემდეგ ავტორი განმარტავს, რომ „პასუხისმგებლობის“ წოდებასთან დაკავშირებული უნდა იყოს არა მარტო უფლებები, არამედ—მოვალეობანიც. იგი მოითხოვს ბოროტმოქმედთა სასტიკათ დასჯას. მისი აზრით ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს არა მარტო „ჩრეზვიჩაიკამ“, არამედ—ყველა კეთილსინდისიერ მოღვაწეებმა და მოქალაქეებმა. „სახელმწიფოს სიმდიდრე ყველასია, ამიტომ ყველამ უნდა ვეცადოთ მის დაცვას“-ო,—ათავებს წერილს ავტორი. („პრავდა“, № 117).

ჩრეზვიჩაიკა მოქმედობს და ბოროტმოქმედება იზრდება „სოციალისტურ“ ქვეყანაში!

**ზრუნვა სათბობ მასალისათვის.** განზრახულია როსტოვში მოაწყონ რამოდენიმე „ვოსკრესნიკები“ ნეხვის სათბობ მასალად გადასაკეთებლათ. („სოვეტ. კავკ.“, № 22).

და ეს მას შემდეგ, რაც მათ ვერ შესძლეს ქალაქის გაწმენდა ნაგავისგან...

კონტრ-რევოლიუციის საქმიანობის დასახასიათებლათ კარლ-მარქსს ასეთი გამოთქმა ჰქონდა—„въ порядкѣ дня стоит штыкъ“—ო. კომუნისტების „საქმიანობა“ კი იმაში გამოიხატება, რომ მათ დღიურ წესრიგში მუდამ აქვთ—ნაგავი, სიბინძურე—კიდევ ნაგავი, კიდევ სიბინძურე...

**დეკრეტი მუსიკალურ ინსტრუმენტების გატანის შესახებ.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით აღკრძალულია ყოველგვარი მუსიკალური ინსტრუმენტების უცხოეთში გატანა, თუ ამისთვის არ იქნა სათანადო ნებართვა სახალხო განათლების კომისარიატისაგან. („იზვ.“, 134).

კიდევ დარჩა დაუწვავი?!

**ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან.** ხარკოვის გაზეთი „პროლეტარი“ სწერს: „წითელ-არმიელების კულტურულ-განმანათლებელ ორგანოებს ამ ჟამად უწინარეს ყოვლისა ევალებათ სასტიკი ბრძოლის წარმოება ჯარში წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ ვამჩნევთ, რომ ადგილობრივი ორგანოები ამ მხრივ არავითარ ზომებს არ იღებენ. მიუხედავათ რესპუბლიკის რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანებებისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1919 წ. 30 დეკემბერს გამოცემულ დეკრეტისა,—არსად უკრაინაში ასეთი ბრძოლა არ სწარმოებს, საკითხი გაყინულია. ზოგიერთი ორგანოები ყოველგვარ განმანათლებელ საქმეებს აკეთებენ, მხოლოდ არა სკოლის საქმეს. საზოგადოთ, სკოლების საქმე მივიწყებულია; თუ კი ხსნიან სადმე,—იმასაც სრულიათ უსისტემოთ და ყოველგვარ გეგმას მოკლებული“. („პროლეტარი“, 8 ივნისი).

გეგმაზე მხოლოდ დარბევა-დატაცება სწარმოებს „სოციალისტურ“ რუსეთში, რასაც ბოლშევიკურ ენაზე ეწოდება ბრძოლა კაპიტალიზმთან...

**„მეშოჩნიკობა“.** სამხრეთ-რუსეთისა და დონის რაიონის რკინის გზების წარმომადგენლებისა და „ვოხრას“ ხარკოვის სექტორის გაერთიანებულ თათბირზე განხილულ იქნა საკითხი „მეშოჩნიკობასთან“ ბრძოლის შესახებ, რამაც უკანასკნელ ხანებში მეტად ფართო ხასიათი მიიღო. დადგენილ იქნა მოაწყონ აღნიშნულ რკინის გზების ყველა პუნქტებში „მეთვალყურე რაზმები“. ამ მიზნით გადასწყდა თხოვნით მიმართონ „გუბკომპარტიას“ და პროფესიონალურ კავშირებს, რათა მათ გამოგზავნონ „მეშოჩნიკობის“ წინააღმდეგ მებრძოლ „მეთვალყურე რაზმებში“ მუშები სამუშაოთ შემდეგის პირობით: მუშები გაიგზავნებიან ორი თვის ვადით და მათ შეენახებათ ჯამაგირი. („პროლეტ“., 16 ივნისი).

ევროპიდან შემოტანილმა სოციალიზმის თესლმა რუსეთის ნიადაგზე ნაყოფად გამოიღო: მეშოჩნიკი, საბოტაჟნიკი, სპეკულიანტი და ჩრეზვიჩაიკა... რუსეთის ნიადაგი ჭეშმარიტად ნოყიერია...

# „წითელ“ ადერბეიჯანში

**ადერბეიჯანის საქონელი და რუსეთის სოციალისტური აზრები.** ბაქოში გამოიცა ადერბეიჯანის „სოციალისტურ“ საბჭოთა რესპუბლიკის „სოვნარხოზის“ ორგანო—„ნაროდნოე ხოზიაისტვო“ № 1—2. ჟურნალში სხვადასხვა შინაარსის წერილებია მოთავსებული, [illegible] პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას. ერთ-ერთ წერილის ავტორი აღნიშნავს იმ „დიად როლს“, რომელიც ადერბეიჯანის რესპუბლიკამ ბუნებრივად უნდა ითამაშოს სოციალისტურ რუსეთის მსოფლიო კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში; მაგრამ ამასთანავე ავტორი ვერ ჰფარავს, რომ ადერბეიჯანი არ არის სათანადოთ მომზადებული. ამიტომ ამბობს: „საჭიროა პირველ ყოვლისა ცეცხლითა და მახვილით აღმოფხვრილ იქნეს ფეოდალური ნაშთები, რასაც ჯერ კიდევ მძლავრად აქვს ფეხი მოკიდებული ადერბეიჯანის სოფლებში; საჭიროა ადერბეიჯანის დემოკრატიამ წერა-კითხვა ისწავლოს და შეიქნეს ადერბეიჯანის „გლეხთა კლასიური თვითშეგნება“.

მეორე წერილში—„ძველი რეჟიმის ზოგიერთი ეკონომიური შედეგები“—ავტორი ეხება იმას, თუ რამდენი ნავთი და სხვა საქონელია გატანილი ადერბეიჯანიდან 1918 წ. დეკემბრიდან მიმდინარე წლის 27 აპრილამდე, შემდეგ იმას, თუ რამდენი შემოუტანიათ ნაცვლათ ფუფუნების საგნები და სხვათა შორის, ამბობს: „ეს მემკვიდრეობითი სისუსტეა ევროპის კაპიტალისტების კოლონიალურ პოლიტიკისა; ისინი ცდილობენ ველურთ სპილოს ძვალში მისცენ თავიანთი ნაწარმოები—„ბრჭყვიალა შუშის სათამაშოები და გრამოფონის პლასტინკები“. მაგრამ როგორია ამ მხრივ დამოკიდებულება ადერბეიჯანის „ველურთა“ და რუსეთის „სოციალისტური“ საბჭოთა რესპუბლიკის შორის? პირველ წერილის—„ადერბეიჯანი და რუსეთი“-ს ავტორი ამის შესახებ შემდეგს სწერს: „ახლა ყოფილ „მუსავატის“ მოსამსახურე ყველა შავ ყორანთა ენაზე მუდამ გაბმული მასლაათი იმის შესახებ, რომ ჩვენ მიგვაქვს ადერბეიჯანის ნავთი და სამაგიეროთ არაფერი შემოგვაქვს“. რუსეთს არ შემოაქვს ბრჭყვიალა შუშები და „პლასტინკები“, მაგრამ სამაგიეროთ შემოაქვს სოციალისტური აზრები“.

ბედნიერია ადერბეიჯანი! გააქვთ ბოლშევიკებს რუსეთში იქიდან ნავთი, პური, შაქარი, ქიშმიში, ყველი, კვერცხი და სხვადასხვა. სამაგიეროთ შეაქვთ „სოციალისტური აზრები“. და ამის შემდეგ „შავი ყორნები“ თურმე კიდევ ბედავენ ხმის ამოღებას! ეჭვი არაა, ვერ შეუგნიათ, რომ „სოციალისტური აზრები“ უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე მათი ნავთი, პური, ქიშმიში, შაქარი და სხ...

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

19 ივლისი.

### ფრანგული ცნობები.

**საბერძნეთის ჯარები.**

ფრანგულ გაზეთებში გადმობეჭდილ ლონდონის ცნობებით საბერძნეთის დივიზიები, რომელსაც ეხმარება საფრანგეთის ჯარები და ინგლისელების გემები სდგანან ჩატალჯაში და ემზადებიან რამდენიმე ათასი ოსმალო ნაციონალისტის გარს შემოსარტყმელათ. მოკავშირეებს აზრათ აქვთ ადრიანოპოლში ერთად იმოქმედონ. ფრანგებს მინდობილი აქვთ კონსტანტინოპოლისაკენ გაქცეული აჯანყებულების დატყვევება.

**სპას კონფერენცია.**

სპის კონფერენცია შაბათს დასრულდა. „პტი პარიზიენის“ ცნობით მოკავშირენი ავსტრიის, ბულგარეთის და უნგრეთის მიერ ზარალის ანაზღაურების შესახებ შეთანხმდენ. საერთო ზარალი განაწილებული იქნება შემდეგნაირად: იტალია მიიღებს 20 პროც. საბერძნეთი 15 პროც., რუმინეთი 12 პროც., დანარჩენი თანხა განაწილდება სხვა სახელმწიფოთა შორის იმავე პროპორციით, როგორითაც გერმანიის კონტრიბუცია. იგივე დეპეშა იუწყება, რომ რუმინეთმა ინგლისს და საფრანგეთს მცირე აზიის ოპერაციებისათვის თავის დახმარება შესთავაზა.

**სენ-ჟერმენის ხელშეკრულების რატიფიკაცია.**

პარასკევს სენ-ჟერმენის ხელშეკრულების რატიფიკაციათა გაცვლა-გამოცვლა მოხდა, განსაკუთრებულ ოქმში მოკავშირენი მიუთითებენ ავსტრიას მის მიერ ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლის შეუსრულებლობას.

**სპას კონფერენცია და ხალხთა ლიგა.**

გავასის სააგენტოს ცნობით, სპის კონფერენციამ აღნიშნა ის, რომ ბრიუსელის საერთაშორისო ფინანსიურმა კონფერენციამ, ყველა საჭირო მასალის უქონლობის გამო ვერ მიაღწია სასურველ შედეგებსო, სთხოვა ლიგას, რომ მან კვლავ მოიწვიოს 15 ენკენისთვის შემდეგ.

### პოლონეთში.

პოლონეთის ფრონტზე სერიოზული მდგომარეობის გამო ზომიერმა მიმდინარეობამ გაიმარჯვა და პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი თანახმაა მას დაემორჩილოს. ვარშავაში გრაბსკის დაბრუნების შემდეგ მომხდარი მთავრობის კამათი დასრულდა იმ პირობების მიღებით, რომლებიც ინგლისის მთავრობის ნოტაშია ჩამოთვლილი. ვარშავის კაბინეტმა თავისი გადაწყვეტილება მოკავშირეებს აცნობა.

### პოლონეთის შტაბის ცნობა.

პოლონეთის შტაბის ცნობით, პოლონეთის ჯარები, ქუჩებში მომხდარ მკაცრი ბრძოლების შემდეგ, იძულებულნი გახდნენ მტრის უმრავლესობის შეტევის გამო დაეტოვებიათ ვილნო. კრემენეცის სამხრეთით მტერმა სასტიკათ შეუტია პოლონელების პოზიციებს. შეტევა მოგერიებულ იქნა. სბრუჩზე პოლონელებმა უკუაგდეს მტრის ცდა მდინარეზე გადმოსვლისა. პოლესიაში მდგომარეობა უცვლელია.

### ინდო-ჩინეთში.

ფრანგული პრესის ცნობით ინდო-ჩინეთში საერთოდ კარგი მდგომარეობაა. ანნამში შიმშილობის შესახებ გავრცელებულ ხმებს უარყოფენ. ცუდი მოსავლისა და აგრეთვე ადგილობრივი ტრანსპორტის დაუწყობლობის გამო სურსათის ნაკლულევანება მხოლოდ ორს პროვინციაში აღმოჩნდა. მებამბეობა განსაკუთრებით ვითარდება კამბოჯაში (დამახინჯებულია) დასათესად 700 ჰექტარი დაამზადა და ააშენა ფაბრიკა, რომელსაც დღეში შეუძლია 800 „ტიუკი“ ნართის დამზადება. კამბოჯის ქაღალდი შესანიშნავი ღირსებისაა და მსოფლიო ბაზარზე დიდს გასავალს მოიპოვებს.

### პოლონეთი და რუსეთი.

„ეხო დე პარის“ ცნობით ბოლშევიკებმა მიიღეს ინგლისის პირობები პოლონეთთან მოლაპარაკების შესახებ, მოპირდაპირეთა წარმომადგენლები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ბრესტლიტოვსკში.

### საფრანგეთი და სირია

სირიიდან მოსული უკანასკნელი ცნობებით ემირ ფაიკალის ორჭოფი მოქმედება და მრავალი ინციდენტი დღითი დღე აძნელებს იმ მანდატის განხორციელებას, რომელიც საფრანგეთსა აქვს ჩაბარებული. რომ ბოლო მოეღოს შექმნილ მდგომარეობას გენ. გურომ ემირ ფაიკალს გარკვეული და ნამდვილი პასუხი მოსთხოვა იმის შესახებ თუ როგორი დამოკიდებულების დაჭერა სურს მას საფრანგეთთან. სხვათა შორის საფრანგეთის უმაღლესი კომისარი მოითხოვს, რათა მას იქნეს შეუზღუდველი უფლება რკინის გზებზე მიმოსვლისა, რასაც ფაიკალი ყოველგვარი საშუალებით ხელს უშლიდა. დასასრულ საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს სადგ. რეიაკი და მცვალაკი, რომლებიც საფრანგეთის ნეიტრალურ ზონაში იმყოფება. თუ ემირი ფაიკალი გაძალიანდა, მაშინ მიღებული იქნება ყოველგვარი ზომა, რომ მან საფრანგეთის მანდატს მეტი პატივი სცეს.

### ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება.

„მატენი“ იუწყება დამად ფერიდის კონსტანტინოპოლში მისვლისა და სულთანის მიერ მისი მიღების შესახებ. მეფის გვარეულობის წევრთა თათბირის შემდეგ, რომელიც ხელშეკრულებაზედ ხელის მოწერას შეეხებოდა, საკითხი სამეფო საბჭოს გადაეცა. ეჭვს გარეშეა, სწერს გაზეთი, რომ ოსმალეთი, ხელს არ მოაწერს საზავო ხელშეკრულებას, რასაც მოყვება ოსმალეთისათვის კონსტანტინოპოლის დაკარგვაო. ყოველ შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

# საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

19 ივლისი.

**ბერლინი.** „სლავიანსკაია“, რომელიც პრაღაში გამოდის, დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის რუსეთის ოქროს შესახებ. 1919 წლ. ქალ. ომსკის სახელმწიფო ბანკში კოლჩაკის დროს იყო 651.325 მილიონი მანეთის ოქრო, იმავე წლის მაისში კოლჩაკის ფინანსთა სამინისტრომ მიყიდა ფრანგებს 55 მილიონი ფრანკათ ღირებული ოქრო. ამავე დროს ხდებოდა ოქროს ვალიუტით ვაჭრობა უცხოელ ბანკებთან. აგვისტოში მოხალისეთა ფლოტმა გაზიდა ოქროს მნიშვნელოვანი ნაწილი შან-ხაისა და ტონკონგში. ერთი ვაგონი ოქრო დააკავა გენ. სემიონოვმა. ეს ოქრო შემდეგ გალაზიდეს ჩიტაში და ბოლოს იქიდან გადმოზიდეს ვლადივოსტოკში. გზაში 32 ყუთი ოქრო უკვალოდ დაიკარგა. ჩეხო-სლოვაკების დამცველმა რაზმმა განაცხადა, რომ მან არ იცის რა პირობებში მოხდა ეს გრანდიოზული ქურდობაო. როდესაც კოლჩაკის დატუსაღების შემდეგ მართველობა გადავიდა სოციალისტ-რევოლიუციონერთა ხელში, მათ მოსთხოვეს გენერალ კჟენენს რუსეთის ოქროს მათთვის გადაცემა. კჟენენმა ამის შესახებ პარიზს აცნობა და შემდეგ მოკავშირეთა სახელით განაცხადა, რომ ოქროს იგი არც ესერებს და არც ბოლშევიკებს არ მისცემს. ბოლოს გაზეთი დასძენს: თუ ბოლშევიკებს აქვს ფაქტიურად, ოქროს ფონდი, უეჭველია ძლიერ უმნიშვნელოა.

**პარიზი.** 3 ივლისი. ვენიზელოსმა „ფიგარო“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: ბერძენთა ჯარს მხოლოთ ერთი მიზანი აქვს: ოსმალეთის ბრბოების გაფანტვა და ოსმალეთში მშვიდობიანობის დამყარებისათვის ხელის შეწყობა. ამ მოვალეობის ასრულება საბერძნეთს არ მიაჩნია შეუძლებლათ. ასრულებს რა ამ მოვალეობას, საბერძნეთი, არ ისახავს რაიმე ამგვარ მიზნებს და მადლობას მოელის საბერძნეთი ომს აწარმოებდა მოკავშირეებთან ერთად და გამარჯვებაც საერთოა. მე იმედი მაქვს, განაცხადა დასასრულ ვენიზელოსმა, რომ საფრანგეთი სულით და გულით ჩვენთანააო.

**ბრიუსელი.** 3 ივლისი. გავასის სააგენტო იუწყება: სასახლეში მოხდა მინისტრთა საბჭოს თათბირი, რომელზედაც ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ე. უასპარმა გააკეთა მოხსენება რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. კაბინეტმა გამოსთქვა თანხმობა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის მხოლოდ იმ პირობით, თუ მოკავშირეები საერთოდ ამ საკითხს დადებითად გადასწყვეტენ.

**ვარშავა.** 30 ივლ. უკრაინის მისიის თავმჯდომარე ლევიცკიმ განაცხადა: უკრაინის მთავრობა ისწრაფვის პოლონეთთან მჭიდრო მეგობრობის დამყარებას. პოლონეთ-უკრაინის კავშირს მთელი უკრაინის ხალხი ესალმებაო.

**ერევანი.** 18 ივლ. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ოგანჯანიანი ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა კომისარს—ჰუსეინოვს რადიოთი შეეკითხა: მართალია თუ არა ბაქოში მყოფ დაშნაკელების: ჯაბედმიანის, გრიგორიანის, ჩუბარიანის, ევანგულოვის და სხ. დახვრეტის ამბავიო. ჰუსეინოვმა უარყო დაშნაკელთა დახვრეტის შესახებ გავრცელებული ხმები და თავის პასუხში აღნიშნა, რომ სომხეთის მთავრობა კვლავ სდევნის კომუნისტებს და ციხეში ამწყვდევსო. ჰუსეინოვი მოითხოვს კომუნისტების განთავისუფლებას.

**რომი.** 4 ივლ. მთავრობის განკარგულებით სწარმოებს ინტენსიური მუშაობა იტალიის რკინის გზების საელექტროფიკაციოდ.

**ქუთაისი.** 19 ივლისი. დეპუტატი აკაკი ჩხენკელი გუშინ, 18 ივლისს ჩამოვიდა ჭიათურიდან ქუთაისში, სადაც კლუბ „ინტერნაციონალში“ გააკეთა მოხსენება. დღეს, 19 ივლისს დილით გაემგზავრა ტყიბულში, სადაც გაიმართება მიტინგი. იქიდან წავა ხონში და სამტრედიაში, სადაც გააკეთებს მოხსენებას.

# იტალიის მისიის ცნობა

**ლონდონი.** ივლ. 17. იუწყებიან: ინგლისის ჯარსა და აჯანყებულ არაბთა შორის მესოპოტამიაში, ბასრა-ბაღდადის რკ. გზის ხაზზე შეტაკება მოხდაო.

**პარიზი.** ივლ. 17. გაზეთები იუწყებიან: პოლონეთმა მიიღო დროებითი ზავის პირობები, რომელიც ლოიდ ჯორჯმა წარუდგინა მას საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრის შესახებ.

# ახალი ამბები

**დღეს, დილის 8 საათზე დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სასწრაფო სხდომა. წევრებს სთხოვენ უთუოდ დაესწრონ.**

✦ **დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და თფილისის საბჭოს სეკრეტარიატის საგანგებო სხდომა.**

✦ **გაზ. „კომუნისტის“ დახურვა.** შაბათს, 17 ივლისს, სასამართლოს პროკურორმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მის მიერ მოხდენილია განკარგულება გაზეთ „საქართველოს კომუნისტის“ და „კომუნისტის“ გამოცემის შეჩერების, მათი რედაქტორების ორახელაშვილისა და თუმანოვის დაპატიმრების შესახებ. ეს პირები პალატის პროკურორზე გადაირიცხა. გამოძიებას აწარმოებს გამომძიებელი დილევსკი. ხსენებული განკარგულება უკვე სისრულეშია მოყვანილი. ორახელაშვილი მიიმალა.

✦ **შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი** გაემგზავრა ბათომში. მასთან წაყვა განათლების მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტორი ს. გეგელაშვილი და ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორი ჯაფარიძე.

✦ **მიწად-მოქმედების მინისტრის გამგზავრება.** მიწად-მოქმედების და გზათა მინისტრი ნ. ხომერიკი დასავლე-

[illegible]

...ქების პროექტი. ნოე ჟორდანია გამოსახულია მჯდომარე. კომისიამ დაადგინა წინადადება მისცეს ი. ნიკოლაძეს შეუდგეს ქანდაკების გასაკეთებელ მუშაობას. ქანდაკება დაიდგმება დამფუძნებელ კრების დარბაზში.

◆ **მრეწველობის განვითარება.** სახელმწიფო ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას ბანკის განკარგულებაში 100 მილიონი მანეთის გადაცემის შესახებ. ეს თანხა მას უნდა მრეწველობის გასავითარებლად და კოოპერატიული და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისათვის დახმარების მისაცემად.

◆ **საერთაშორისო კოოპერატიული ფონდი.** საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის თავმჯდომარემ მანჩესტერის ბითუმათ მოვაჭრე ცენტრალურ კოოპერატიულ საზოგადოებისაგან მიიღო თანხმობა საქართველოს კოოპერატიულ დაწესებულებისადმი მაიურ საჭიროების საგნების მოწოდების შესახებ.

◆ **ბრძოლა ანტისანიტარიასთან.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა ანტისანიტარიასთან ბრძოლის მიზნით დახუროს ყველა სასადილო დეზერტირების ბაზარზე.

◆ **სახელმწიფო ბანკის საბჭოში.** 16 ივლისს საქართველოს სახელმწიფო ბანკის საბჭოს სხდომაზე გადასწყვიტეს რამდენიმე ორგანიზაციული ხასიათის კითხვა. დაადგინეს სხვადასხვა ოპერაციებზე 10—12%-მდის დაწესება, რაც შეეხება ბანკის აქტიურ ოპერაციებს, დაადგინეს აწარმოვონ მხოლოდ ხანმოკლე აქტიური ოპერაციები არა უმეტეს სამი თვისა. შემდეგ დააწესეს ბანკის გამნაღდებელ კომიტეტის წევრების რიცხვი, იქნება 12 წევრი. კომიტეტის წევრებს ირჩევს ბანკის კომიტეტი.

◆ **სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის** საბჭო სთხოვს ჟურნალ „განათლებაზე" ხელის მომწერთ დააჩქარონ ჟურნალის წლიური ფასის დანარჩენი ნაწილის შემოტანა, რომ საბჭო იძულებული არ გახდეს შესწყვიტოს შემდეგი ნომრების გაგზავნა.

◆ **ტელეგრაფისა და ტელეფონის ქსელის გაფართოება.** დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ მოიწონა პლენუმისთვის გადასაცემათ შინაგან საქ. სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი რესპუბლიკის ტელეგრაფისა და ტელეფონის ქსელის გასაფართოებლად 35,600,000 მანეთის გადადების და იმავე მიზნისთვის საჭირო სატელეგრაფო და სატელეფონო ქონების გაღების შესახებ. პროექტის განმარტების ბარათში აღნიშნულია ზომების მიღების საჭიროება რესპუბლიკის ყველა ცოტად თუ ბევრად დასახლებულ პუნქტებს შორის სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირის დასამყარებლად.

◆ **თფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის** სამეურნეო განყოფილების მესამე კურსის სტუდენტები დაბრუნდნენ საკანონდებულო საზაფხულო ვარჯიშობიდან. მუშაობა სწარმოებდა საერთო მიწათ-მოქმედებაში, ნიადაგთ მეცნიერებაში და მეტყეობაში პროფესორების ხელმძღვანელობით მუხრანის სახელმწიფო მამულში, ბორჯომში და ბაკურიანში. ამ მოკლე ხანში იგივე სტუდენტები გაგზავნილ იქნებიან სახელმწიფო მამულებში პრაქტიკანტებათ სხვადასხვა სპეციალურ დარგებში სამუშაოდ.

ქ რ ე ბ ე ბ ი.

სამშაბათს, 20 ივლისს, საღ. 7 ს. დანიშნულია შეერთებული კრება სამუსიკო საზოგადოების გამგეობის და სამუსიკო კოლეგიისა.

## საქართველოში არსებულ საბ. რუს. მისიის ცნობა

**მოსკოვი.** ივლ. 18. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ-კერზონმა ჩიჩერინს რადიოთი გაუგზავნა ნოტა, სადაც იგი რუსეთს წინადადებას აძლევს, რომ პოლონეთთან დროებითი ზავი შეკრას.

**სამხედრო ცნობები**

ივლ. 18. პოლონეთის ფრონტი. სასტიკი ბრძოლების შემდეგ ჩვენ დავიკავეთ ქ. ვილნო. მოწინააღმდეგე კონტრ იერიშებზე გადმოვიდა ვილნოს მიდამოებში. ქუჩებში ბრძოლამ გასტანა 6 საათს. მასში მონაწილეობდნენ ლეგიონერი ქალები. დამარცხებული მტერი გროდნოსკენ იხევს. ჩვენმა ნაწილებმა მტრის დევნის დროს დაიკავეს დაბა მოსტროვი და რადუვიშკი. 15 ივლისი. ლიტვის რესპუბლიკის ჯარების პირველი დივიზია შევიდა ქ. ვილნოში და ჩვენ ნაწილებთან ერთად გაანადგურა პოლონელების ლიტვა-ბელორუსეთის მეორე დივიზია. ხელთ ვიგდეთ 16 ზარბაზანი და სხვა დავლა. სხვა ფრონტებზე ჩვენი შეტევა სასურველად ვითარდება.

16 ივლისი. ბერენოვიჩის მიმართულებით ჩვენი შეტევა რკ. გზის გასწვრივ სასურველად მიმდინარეობს. ჩვენ დავიკავეთ სოფელთა მთელი რიგი მინსკის სამხრეთ-დასავლეთით 50 ვერსზე. სამხრეთით ჩვენ დავიკავეთ ქალ. სლუცკი.

**ყირიმის ფრონტი.**

დნეპრის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს დნეპრის მარცხენა ნაპირი და უბრძოლველათ დაიკავეს გორნოსტაეკა და კაირი. ალექსანდროვსკო-ორეხოვის რაიონში ჩვენი ჯარები მტრის ცხენოსანთა ჯარის მოწოლის გამო მდ. იარკისაკენ იხევენ. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დაიხიეს მდ. ჩინბულის ჩრდილო ნაპირისაკენ.

## დამფუძნებელი კრება

(დასასრული.)

16 ივლისის სხდომა

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**გრ. გიორგაძე.** ჩვენ ბიუჯეტს განვიხილავთ საგნობრივათ, მაშინ ნათელი იქნება ჩვენთვის, რომ ყველაზე მეტი თანხა ხმარდება კულტურულ, საამშენებლო საქმეს და თავდაცვითი საჭიროებას მხოლოდ მეორე ადგილი უკავია. 50 პროცენტი ხარჯებისა ხმარდება კულტურულ, საამშენებლო საქმეს. 27 პროცენტი თავდაცვის საჭიროებას, 15 პროცენტი მართვა-გამგეობას და 8 პროცენტი არა-ჩვეულებრივი ხარჯებია. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ შემოსავალი გაუთანასწორდეს ხარჯებს. უნდა გავითვალისწინოთ 1918 წ. ხარჯები, გამოვარკვიოთ რას ემსახურებოდა იგი, რა იყო ჩვენი შინაური და საგარეო პოლიტიკა. შინაური ჩვენი მართვა-გამგეობის ხაზი აშკარა და გარკვეული არის. ეს არის ის, რომ შეიქნას ძლიერი მართვა-გამგეობა, რომელიც ერთის მხრივ გაამტკიცებს დემოკრატიულ პრინციპებს და მეორეს მხრივ დამცველი იქნება ამ პრინციპების. მეორეს მხრივ ჩვენი მუშაობა მიმართულია ამ მხრივ, გამაგრება მუნიციპალურ ორგანოების და მასზე დამყარება, უზრუნველყოფა გლეხობის მიწით, შრომის უზრუნველყოფა. მთელ ამ პოლიტიკას დაცვა ესაჭიროებოდა და როდესაც ჩვენ ქვეყანას საფრთხე მოელოდა შიგნიდან და გარეშე მტრისგან, ყოველთვის ვიგერიებდით მტრებს, რაც თქვენ არა ერთხელ თვით აღგინიშნავთ. ბევრია გაკეთებული, ბევრი გასაკეთებელია, ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთ ცოცხალ ორგანიზაციას არ ჰქონდეს დეფექტები, ამ მხრივ ბევრი მუშაობა მოგვიხდება, ბევრი მოქალაქე და მოხელე არ სდგას თავის სიმაღლეზე, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას პირნათლად. ჩვენ შევეცდებით დეფექტები გამოსწორდეს, მაგრამ საერთოდ რომ ჩვენი ხაზი სწორია, ამაში ყველა დამეთანხმება. ამ ხაზმა მოგვაპოვებინა საგარეო გამარჯვება, შინაგან მართვა-გამგეობის სიმტკიცე ჩვენ რომ არ გვქონოდა, ჩვენ რომ ასე მტკიცეთ არ დაგვეცა ჩვენი დამოუკიდებლობა, მას სხვები არ იცნობდენ. ჩვენ ვიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას. სხვის საქმეში არ ვერევით, ჩვენსაში არვის ურევთ. ამ ხაზის გამარჯვება მოწმობს მას, რომ ჩვენ კარგ პოლიტიკას ვაწარმოებთ.

ჩვენი შემოსავალი დამყარებულია როგორც პირდაპირ, ისე არა პირდაპირ გადასახადებზე. ჩვენ ვიცით უვარგისობა არა პირდაპირ გადასახადისა, მაგრამ ძველი სისტემის შეცვლა ახალ სისტემაზე უცბად ძნელი არის. ჩვენ მომხრე ვართ შემოღებულ იქნას გადასახადი შემოსავლის კვალობაზე, მაგრამ ამის განხორციელება არც ისე ადვილია. ჩვენ მივიღეთ ზომები, რომ არაპირდაპირი გადასახადი პირველ საჭიროების საგნებზე ნაკლები ყოფილიყო. შემდეგ ამისა მომხსენებელი ეხება იმ შემოსავალს, რომელსაც სახელმწიფო მიიღებს სამეურნეო ოპერაციებიდან. იმ ოპერაციებს, რომელიც უწარმოებია მომარაგების სამინისტროს, წმინდა მოგება მიუცია სახელმწიფოსათვის 284 მილ. და აშკარაა, რომ ეს მოგება უფრო გაიზრდება. სახელმწიფომ რაც გინდა გააუმჯობესოს გადასახადის სისტემა, ის თავის ხარჯებს ვერ დაფარავს თუ არ შესდგება იმ გზაზე, რომელსაც ყველა სახელმწიფო დაადგა. ეს არის ის, რომ რამდენათაც შეიძლება წარმოება სახელმწიფომ თავის ხელში უნდა აიღოს. დიდი მომზადება არის საჭირო, რომ მთელი წარმოება სახელმწიფოს ხელში იყოს. ნაწილობრივ კი ახლაც უნდა აიღოს ხელში სახელმწიფომ. მთავარი პრინციპი უნდა იყოს ის, რომ მოგება არ გასცილდეს საშუალო მოგებას. სახელმწიფო არ უნდა ჩაებას სპეკულიანტთა ფერხულში, მან არ უნდა დაისახოს მიზნად უსალზვრო მოგება. შემდეგ მომხსენებელი ეხება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს.

ჩვენ გვაქვს, ამბობს მომხსენებელი, ისეთი რამ, რაც ოქროზე ძვირია. ეს არის სავალიუტო საქონელი, რომელსაც საჭიროებს მთელი კაცობრიობა. ამ მხარეს უნდა მივაქციოთ ჩვენი ყურადღება, რომ სავაჭრო ბალანსი შეიქნეს აქტიურ ბალანსად და შევეცადოთ, რომ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე არ შეიქნეს უცხოელების საწველ ფურად. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ნედლი მასალა აქვე დამუშავდეს. ვაჭრობის მხრივ ჩვენი მდგომარეობა ასეთია: 1919—1920 წ. განმავლობაში ჩვენი ბალანსი ნახევარი პასიური იყო 19 წ. პირველ მაისიდან 20 წლის მაისამდე, როდესაც სახელმწიფო შესდგა მონოპოლიის ნიადაგზე, თქვენ დაინახავთ, რომ პასიური ბალანსი ½ უდრის. შემდეგ მომხსენებელი ეხება იმას თუ რა წესით უნდა სწარმოებდეს სავალიუტო საქონლის უცხოელებზე გაყიდვა და დაასკვნის, რომ სავალიუტო საქონელში ფულს ჩვენი ბონებით უნდა მოვითხოვდეთ, ამით ჩვენი ბონების კურსს ავწევთ, რადგანაც საქონლის მყიდველნი იძულებულ იქნებიან ჩვენი ბონები შეიძინონ. მე მსურს დასასრულს ყურადღება მივაქციო კიდევ ერთ გარემოებას. არ მახსოვს, რომელმა დეპუტატმა, ვგონებ შინგარიოვი იყო, რუსეთში ბიუჯეტის განხილვის დროს სთქვა: ჩვენი საუკეთესო ფინანსთა მინისტრი ეს მოსავალი არისო. ამ მხრივ უნდა აღვნიშნო, რომ წელს პური საკმარისი მოვა, ძლიერ ცოტა დაგჭირდება უცხოეთიდან პურის შემოტანა. უნდა მიექცეს ყურადღება ნაციონალურ მამულების დამუშავებას. არ არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც არ ეზიდებოდეს თავის ქვეყანაში საქონელს, მაგრამ ჩვენ ამ მხრივ მით განვირჩევით, რომ აქ უმეტესათ ფუფუნების საგნები შემოაქვთ. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ბაჟები ამ საგნების შესახებ, მე ვფიქრობ, რომ ფუფუნების საგნების შემოტანა სრულიადაც უნდა აიკრძალოს. ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ექსპორტს აგრეთვე იმპორტს, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ ის საქონელი, რომელიც შემოდის აქ, უშუამავლოთ მოქონდეთ, სპეკულიანტებს არ უვარდებოდეთ ხელში. დასასრულს მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბათომის შემოერთებით საქართველოს უფრო ფართო პერსპექტივები უდგება წინ, და მისი ეკონომიური მდგომარეობა მტკიცე ნიადაგზე სდგება. (ტაში).

თანახმად რეგლამენტისა დამფუძნებელი კრება სწყვეტს კამათს ბიუჯეტის შესახებ და გადადის ესერების შეკითხვაზე, რომლის განხილვაც 11 ივლისს სხდომაზე ვერ დასრულდა.

**გრ. ცინცაბაძე** ეხება რა ესერების შეკითხვას, აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციას რომ დეკრეტები აქვს, ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ შეკითხვას მაშინ ექნებოდა ფასი, თუ რომ მთავრობა ბოროტმოქმედ ადმინისტრატორებს არ დასჯიდა. ბორჩალოს მაზრაში 17 მეტი კომისარი არის გადაყენებული; მრავალი მილიციონერი პასუხის გებაში არის მიცემული. ორატორი ეხება რა ესერების მოღვაწეობას, აღნიშნავს, რომ მათი ლიდერი ივ. ლორთქიფანიძე აფხაზეთში ყოფნის დროს ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე და ხშირათ არა საკადრის საშვალებებით ცდილობდა თავის პარტიის გაძლიერებას. ხსნიდენ ეგრედ წოდებულ „მკვდარ" სააავათმყოფოებს, ურიგებდენ ხალხს სურსათს მომარაგების სამინისტროდან მიღებულს და ამასთანავე ეუბნებოდენ: ეს სურსათი ესერების პარტიამ გამოგიგზავნათო. შემდეგ ორატორი ეხება ბორჩალოს მაზრის მდგომარეობას, აღნიშნავს, რომ იქ ყრილობა შეჩერებულ იქნა გენერალ გუბერნატორის მიერ მიტომ, რომ მახლობლათ ფრონტი იყო, სამხედრო წესები იყო გამოცხადებული. და როდესაც საქმის ვითარება გამოირკვა, ყრილობა გაგრძელებულ იქნა. ორატორი უსაყვედურებს ესერებს, რომლებიც წარა-მარა ასეთ შეკითხვების შემოტანით საუკეთესო სადემაგოგიო მასალას აძლევდენ საქართველოს მტრებს. ესერებს სჩვევიათ თავიანთ დროშის ფრიალი იქ, სადაც ჩამორჩენილი კუთხე არის, და ამიტომაც ცდილობენ თავიანთ გავლენის მოპოვებას ბორჩალოში.

სამი საათის შესრულების გამო სხდომა გადაიდო. გადაწყდა ჩვეულებრივ სხდომების გარდა, დაინიშნოს ხუთშაბათს საგანგებო სხდომა ბიუჯეტის განსახილველად.

## საქართველო-რუსეთის კომისია

სამხედრო გარანტიების შესახებ არსებულ საქართველო-რუსეთის კომისიის საქართველოს დელეგაციის განცხადება:

რუსეთის დელეგაციის ა. წ. 13 ივლისის განცხადების საპასუხოთ საქართველოს დელეგაცია საჭიროდ სთვლის განაცხადოს შემდეგი:

1) ეთანხმება რა მას, რომ ხელშეკრულობის ნამდვილი აზრის განმარტების საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს მისი გაგება კეთილ სინდისიერათ და მხარეთა სურვილისა და მიზნის, ე. ი. „ბონა ფიდეს" მიხედვით და რომ ხელშემკვრელ მხარეებს სახეში უნდა ჰქონდეთ ხელშეკრულობის კეთილსინდისიერი და არა სხვა გვარი განმარტება, საქართველოს დელეგაცია საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ სწორედ ამ საერთო პრინციპებმა მიიყვანა იგი იმ უცილო დებულებებსა და დასკვნებამდის, რომელიც გამოთქმულია ა. წ. 30 ივნისს მის მიერ წარდგენილ განცხადებაში. გაეცნო რა რუსეთის დელეგაციის აზრს შვიდ მაისის ხელშეკრულობის მეხუთე მუხლის 1-ლსა და მე-3 პუნქტების შესახებ, საქართველოს დელეგაცია იძულებული იყო მიემართა ხელშეკრულობის ინტერპრეტაციისათვის, რომელიც მდგომარეობს სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობის გამორკვევაში, მათ გრამატიკულ კონსტრუქციაში, სიტყვებსა და წინადადებებს შორის ლოღიკურ კავშირის გამოკვლევაში და საერთოდ ესარგებლა ყველა იმ მეთოდით, რომელთაც მივყევართ შეთანხმების ჭეშმარიტი აზრის გაგებისაკენ. ამ თვალსაზრისით ხელშეკრულობის ჭეშმარიტი აზრის გამოსარკვევად, ე. ი. მხარეთა მიზნების გასაგებად, მეტად სერიოზული და არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც ხელშეკრულობის საერთო გამოთქმას, აგრეთვე მასში არსებულ სიტყვებსა და მთელ წინადადებებს. ამიტომ ამა თუ იმ გრამატიკულ ფორმებს ხელშეკრულობის განმარტების დროს აღძრულ დავაში შეუძლია იქონიოს არა შემთხვევითი, არამედ შესაძლებელია, გადამჭრელი მნიშვნელობაც. საქართველოს დელეგაცია ხელშეკრულობის შინაარსის გამორკვევისას არ ხელმძღვანელობდა მარტო მისი გრამატიკული განმარტებით, არამედ ხელმძღვანელობდა როგორც მისი ისტორიული ჩამომავლობით, აგრეთვე მასში მიღებულ დებულებების საერთაშორისო უფლების საერთო ნორმებთან შეთანხმებით.

2) არსებითად რომელიმე ხელშეკრულების და მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულობის უფლებრივ დასაბუთებად ითვლება მხარეთა კეთილი სურვილი და მათი შეთანხმება იმდენათ, რამდენათაც ეს, რა თქმა უნდა, უფლების საერთო ნორმებს არ ეწინააღმდეგება. საერთო ნორმა უფლებისა და მასთან საერთაშორისო უფლებისა ღაღადებს, რომ არც ერთ კანონსა და არც ერთ ხელშეკრულობას არა აქვს პირიქითი მოქმედების ძალა და რომ მას ყოველთვის ძალა აქვს მომავალში. თუ კანონ-მდებელს ან ხელშემკვრელ მხარეებს სურთ კანონს, ან ხელშეკრულობას პირიქითი ძალა მისცენ—ეს პირდაპირ და აშკარად უნდა აღინიშნოს თვით კანონში, ან ხელშეკრულობაში.

7 მაისის ხელშეკრულობის მე-5 მუხლის უფლებრივ დასაბუთებას წარმოადგენს მხარეთა შეთანხმება იმის შესახებ, რომ „ამიერიდან საქართველოს ტერიტორიაზე არ დაუშვან არავითარი სამხედრო მოქმედება, სამხედრო ძალთა არსებობა და საერთოდ სხვა მოქმედებანი, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამ მოსაზრებით, მხარეთა შეთანხმების გამო საქართველომ ვალად იდო „დაუყონებლივ განეიარაღებია და დაეკავებია" მხოლოდ ის ჯგუფები და ნაწილები, რომლებიც ხელის მოწერის დროს იყვნენ, ან მომავალში გაჩნდებოდენ საქართველოს ტერიტორიაზე.

ხელშემკვრელ მხარეებს რომ მიზნათ ქონოდათ მე-5 მუხლის ძალის იმ ობიექტებზე გავრცელება, რომელნიც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდის არსებობდენ საქართველოში, ე. ი. მხარეებს რომ სდომოდათ მე-5 მუხლისათვის პირიქითი მოქმედების ძალა მიენიჭებიათ, ეს პირდაპირ და აშკარად უნდა ყოფილიყო აღნიშნული თვით ხელშეკრულებაში, რაც ამ შემთხვევაში არ არის.

3) მიუხედავათ ზემო მოყვანილ საერთო დებულებებისა, რაც სავსებით სწურავს საკითხს, საქართველოს დელეგაცია ფიქრობს, რომ იმ საკითხის ბედის გამორკვევის დროს, რომელიც შეეხება სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონებას და იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც საქართველოს საზღვრები გადმოლახეს და ა/წ. 7 მაისამდე იყვნენ დაკავებულნი, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის დამოკიდებულება, რომელიც მოხალისეთა ჯარსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის არსებობდა. რადგანაც საქართველოსა და მოხალისეებს შორის პერმანენტული ბრძოლა არსებობდა, ბედი მთელი სამხედრო ქონებისა, რომელიც საქართველომ ჩამოართვა მათ ა/წ. 7 მაისის ხელშეკრულობაზე ხელის მოწერამდე, განისაზღვრება ომიანობის ნორმებით, ე. ი. ამა თუ იმ გზით მტრისათვის წართმეული სამხედრო და სხვა ყოველგვარი ქონება ცნობილი უნდა იქნეს საქართველოს საკუთრებათ, როგორც ნადავლი; მიუხედავად იმისა შემდეგში მხარეებმა მოხალისეები მეომარ მხარეთ, თუ მეამბოხეებათ იცვნეს.

ამგვარად 7 მაისის ხელშეკრულების განმარტების შედეგი შერეულ კომისიის ფარგლებში, ე. ი. კეთილსინდისიერ განმარტებით, როგორც მისი შინაარსის, აგრეთვე მისი ნამდვილი და ლოღიკური აზრის მიხედვით არის შემდეგი: **ამიერიდან**, ე. ი. 7 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე არავითარი საწინააღმდეგო რამ არ უნდა მოხდეს რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა და ამიტომ საქართველო ვალდებულია გადასცეს რუსეთს მხოლოდ იმ ჯგუფთა და ორგანიზაციათა ქონება, რომლნიც სამხედრო გარანტიების შესახებ ქართველი დელეგაციის განცხადებით აღმოჩნდებიან საქართველოს ტერიტორიაზე განუიარაღებულნი და დაუკავებელნი ა. წ. 7 მაისის ხელშეკრულობის ხელის მოწერისა და მის შემდეგ დროში. ასეთია აშკარა აზრი ხელშეკრულობის მე-5 მუხლისა.

ამიტომ საქართველოს დელეგაცია ადასტურებს ა. წ. 30 ივნისს წარმოდგენილ განცხადებას.

**საქართველოს დეპეშათა სააგენტოსაგან.** საქართველო-რუსეთის შერეულ კომისიის რუსეთის დელეგაციის განცხადების გამო, რომელიც გამოქვეყნებული იყო საბჭოთა მთავრობის ბეჭდითი ბიუროს მიერ, საქართველოს დეპეშათა სააგენტო საჭიროთ სთვლის თავის მხრით განაცხადოს, რომ რუსეთის დელეგაციის მტკიცება, თითქოს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს მიეღოს ცნობები არა კომპეტენტურ წყაროებიდან, უსაფუძვლოა: ფოთის კონცენტრაციული ბანაკის დასათვალიერებლათ გაემგზავრა არა რუსული დელეგაცია, არამედ შერეული რუსულ-ქართული კომისიის ორი რწმუნებულისაგან შემდგარი დელეგაცია: ერთი რუსეთის დელეგაციისაგან ბ. ზარიანი და ერთი ქართული დელეგაციისაგან კაპიტანი კოსტანაიშვილი, ამ უკანასკნელმა აცნობა საქ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელს თავის დროზე გამოქვეყნებული ცნობები. საანკეტო ფურცლები შეავსო დაკავებულთაგან მხოლოდ ოცმა კაცმა. ამ რიცხვს არც რუსეთის დელეგაცია გვედავება, თუმცა მაინც აღნიშნავს, რომ დელეგაციას არ ქონდა საშუალება დამოკიდებულება დაეჭირა იმ დაკავებულებთან, რომლებიც ნავთსადგურში მუშაობდენო. რომ ასეთ ფაქტს ადგილი ქონებოდა, მაშინ ორივე რწმუნებულს თანაბრათ ეცნობოდა, ასეთი შემთხვევის გამო შესდგებოდა ოქმი, რომელიც შერეულ კომისიას მოეხსენებოდა. ამავე დროს კი კოსტანაშვილი კატეგორიულათ უარყოფს ყოველგვარ ფაქტს დაკავებულების დელეგაციასთან მიუშვებლობის შესახებ, გარდა ერთად-ერთი შემთხვევისა, როდესაც ერთს სამხედრო ტყვეს აეკრძალა ბანაკიდან გამოსვლა 6 საათის შემდეგ, რაც დამოკიდებული იყო საბანაკო წესებზე, თუმცა იმავე სამხედრო ტყვეს მეორე დღესვე მიეცა კომისიასთან დამოკიდებულების საშუალება. ბოლოს რუსეთის დელეგაციის მტკიცება იმის შესახებ, რომ, თითქოს მას დამოკიდებულება ქონდა მხოლოდ 100 დაკავებულთან, აგრეთვე კატეგორიულათ უარყოფილია კაპიტან კასტონაიშვილის მიერ, რომელიც ადასტურებს მის მიერ აღნიშნულ რიცხვის სინამდვილეს, ე. ი. დაახლოვებით 500 კაცის მათ მიერ ნახვას.

## ამხ. გ. ხუნდაძის მოხსენებები საბჭ. რუსეთ. შესახებ

საბჭოთა მთავრობასთან (მოსკოვში) საქართველოს ელჩად ნამყოფი ამხ. გაბრიელ ხუნდაძე საქართველოს დაბა ქალაქებში შეუდგა მოხსენების კითხვას საბჭოთა რუსეთის შესახებ.

პირველი მოხსენება წაიკითხა ხაშურში ივლისის 13-ს ხაშურის რკინის გზის კლუბში. დაესწრენ რაიონის მუშა-მოსამსახურეები. კლუბი გაჭედილი იყო ხალხით.

მეორე მოხსენება წაიკითხა ქ. ფოთში, ცირკის შენობაში. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებები გვიან დაიბეჭდა, ხალხი ბევრი დაესწრო მოხსენებას. მოხსენება ვრცელი და შინაარსიანი იყო, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ხალხზე.

ამ ჟამად ამხ. ხუნდაძე იმყოფება ახალსენაკში, სადაც სამაზრო ს. დ. კომიტეტის დავალებით დარჩება რამდენიმე დღე და შემოივლის ზუგდიდს, ხობს აბაშას და ნოქალაქევს.

შემდეგ მოხსენებას გააკეთებს სამტრედიის რკინის გზის კლუბში, ქუთაისის რკინის გზის კლუბში და ქალაქის თეატრში (რუსულად) ტყიბულში, შორაპნის რკინის გზ. კლუბში, ყვირილაში, ჭიათურაში და ბორჯომში. დანარჩენ ადგილებს კი ჩამოივლის ქართლ-კახეთის შემოვლის შემდეგ.

გ. ხ.

## რკინის გზელთა პროფეს. კავშირების კონფერენცია

(გაგრძელება)

4 ივლისის დილის სხდომა. კითხვა დგას რაიონულ გამგეობებში მოსამსახურეების შტატის შედგენის შესახებ. მომხსენებელი მ. ჰყონია მოახსენებს კონფერენციას, რომ ამ ერთი წლის წინად გამგეობებში შტატის შედგენას არ ჰქონდა ალაგი. მაგრამ ეს კითხვა მთელი თავისი სიმწვავით წარმოსდგა წელს და ამას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგანაც ამ კითხვას აყენებს არა მარტო ცენტრი, არამედ რამდენიმე რაიონებიდან კატეგორიული მოთხოვნილებაა და ჩვენც ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ყველა რაიონებში, გარდა სამართველოს და ბორჯომის ქვე-რაიონისა, განთავისუფლებულია ორ-ორი კაცი, თავმჯდომარე და მდივანი. მთავარ სახელოსნოში კი ხუთი კაცი. ჩვენ პროფესიონალურ კავშირებს თანდათან ემჩნევა ჩამოყალიბება და თვით პროფესიონალურ მოძრაობისათვის, საჭიროა იყოს საქმის წარმოება შესაფერ სიმაღლეზე, რაც არ სრულდება ეხლა, რადგანაც მდივანი ვერ უმკლავდება ყველა იმ საქმეებს, რომლებიც თავს იყრის რაიონებში. ზოგიერთი მდივანი პირდაპირ კარგავს თავის მნიშვნელობას და გადაქცეულია უბრალო კანტორის მოხელედ, რომელიც მხოლოდ კანცელიარულ მიწერ-მოწერას ანდომებს მთელ თავის დროს. რომ მათ მიეცეს საშუალება იდეური მუშაობა და სექციების კრებაზე დასწრების, რომელსაც ნაკლებად ესწრებიან ეხლა, ცენტრმა გამოიმუშავა შტატი ყველა რაიონებისათვის. ყველა რაიონულ გამგეობისათვის უნდა დაქირავებულ იქნას თითო კანტორის მოხელე და დარაჯი. დარაჯების წესი აქნობამდის ასეთი იყო. ექსპლოატაციის უფროსის განკარგულებით სადგურის დარაჯი ვალდებული იყო რაიონულ გამგეობის დარაჯობაც ეკისრა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა, რადგანაც სხვათა შორის უყურებდნენ არაპირდაპირ მის დავალებას. დღეიდან დარაჯები თვით კავშირმა უნდა დაიქირავოს თავის ხარჯით.

ამის შემდეგ იხსნება კამათი. ცენტრალური გამგეობის ინსტრუქტორი კაპანაძე, აცნობს კრებას ყველა იმ დეფექტებს, რომელთაც რაიონებში აქვს ადგილი, რომელიც ჩამოვლის დროს შეამჩნია და მოითხოვს შტატის დამტკიცებას. მაჭარაძე მოითხოვს, რომ ხარჯები გაღებულ იქნას რკ. გზის სამართველოდან, რადგან კავშირები ადმინისტრატიულ და სახელმწიფოებრივ საქმეებს აკეთებენ ჯერ-ჯერობით. მანჯგალაძე წინააღმდეგია სავსებით შტატის შედგენის. ამის შემდეგ მიღებულ იქნა რაიონებში იქნას დაქირავებული ერთი კანტორის მოხელე და ერთი დარაჯი კავშირის ხარჯით. თავაძის განცხადება, რომ სამმართველოში, მხოლოდ თავმჯდომარე და მდივანი იქნეს თავისუფალი სამსახურისაგან კავშირში სამუშაოდ, კრებამ არ მიიღო. სამართველოს რაიონში იქნება თავისუფალი მხოლოდ თავმჯდომარე და ერთი დაქირავებული კანტორის მოხელე. მთავარ სახელოსნოში კანტორის მოხელე არ იქნება დაქირავებული, რადგანაც იქ ორი მდივანია. რაც შეეხება იმ დარაჯებს, რომელნიც უკვე ადმინისტრაციისაგან არიან დაყენებულნი, დარჩებიან იმ პირობებში, რომელშიაც იმყოფებოდენ.

შემდეგი კითხვაა ბორჯომის ქვე რაიონის მაგივრად დაარსებულ იქნას რაიონული გამგეობა. მომხსენებელი ბერეჟიანი აცნობს კრებას ცენტრალურ გამგეობის აზრს ამ საკითხის შესახებ და საჭიროდ აღიარებს რაიონულ გამგეობათ გადაკეთებას. კონფერენციამ დაადგინა ბორჯომის ქვე-რაიონი იქნას გადაკეთებული რაიონულ გამგეობათ. შემდეგ კონფერენციამ მიიღო ცენტრალური გამგეობის წევრები. რადგანაც ერთნაირ მოვალეობას ასრულებენ როგორც არჩეულები და ჯამაგირს კი ღებულობენ კატეგორიის და მიხედვით უთანასწოროს, ამიტომ კრებამ თანასწორ კატეგორიაში მოაქცია ყველა წევრები. ამის შემდეგ კრება შეწყდა.

5 ივლისის დილის სხდომა. კრებას ესწრება საგანგებოდ მოწვეული გზათა მინისტრი ნ. ხომერიკი, შრომის მინისტრის ამხანაგი ა. ბახტაძე და გზის უფროსი კანდელაკი. დღის წესრიგში დგას ბრძანება № 17. სანამ ამ კითხვის შესახებ არსებითად შეეხებოდა კრება, მოისმინა ნ. ხომერიკის მოხსენება, რომელიც გამოიხატებოდა შემდეგში: სამწუხაროდ ამ კონფერენციის დასაწყისს თავიდან ვერ დავესწარი გაძლიერებულ მუშაობის გამო და არ ვიცი რა ითქვა აქ. მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაგაცნოთ ჩვენი შეხე-

დულება იმ საკითხზე, რომელიც თქვენ ასე გაინტერესებთ, № 17 ბრძანების შესახებ. თქვენ და ადმინისტრაციის შორის ამ საკითხის შესახებ არის უმთავრესად დავა იმ მუხლებზე, რომელიც რამდენიმე ახალ მილიონებს უმატებს რკინის გზის ხარჯებს, სხვაზე დავა არ არის. გულწრფელად ვაცხადებთ, რომ მუშების მდგომარეობა დღევანდელ გართულებულ პირობებში, ძლიერ ცუდია. დღევანდელი მდგომარეობა ნაკლებ შანსებს იძლევა იმისას, რომ ყველა სამართლიანი მოთხოვნილებები მუშების დაკმაყოფილებული იქნეს. ჩვენ მომავალი პერსპექტივებით ვსულდგმულობთ, და, რომ მომავალში არ ვხედავდეთ ჩვენი პოლიტიკო-ეკონომიურ მდგომარეობის გამოკეთებას, მთავრობა, რომელიც თქვენი და მთელი ხალხის ნდობით არის არჩეული, ერთ დღეს არ გაჩერდება და დატოვებს თავის პოსტს. ჩვენი მდგომარეობა რომ შევადაროთ სხვა ქვეყნების მდგომარეობას, მაშინ სხვას დავინახავთ, მაგრამ აქ ეს საჭირო არ არის, რადგანაც თვითეულმა კონფერენციის მონაწილემ შეგნებულად იცის ეს მდგომარეობა და ითვალისწინებენ რესპუბლიკის მდგომარეობას. ჩვენს ხელშია ძალა-უფლება, როგორი წესიც გვინდა ისეთს შემოვიღებთ; მაგრამ არის ერთი მომენტი,—ეს არის ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, ცოცხალი ფაქტი, რომელსაც ძალით ვერაფერს უზამთ. თქვენ იცით, როგორ ეცემა ფულის კურსი. ფულის სამეურნეო მდგომარეობა ეს ანარეკლია ჩვენი ცხოვრების. სახელმწიფოს გასავალი 7 მილიარდი მანეთი არის, შემოსავალი კი 3 მილიარდი, დეფიციტი არის ამგვარად 4 მილიარდი. ჩვენ არ გვაქვს ოქროს ფულის ვალიუტა, რითაც გავანაღდებთ ბონებს. ფულების ბეჭვდა ვერ გააუმჯობესებს მდგომარეობას. ჩვენ გვქონდა ფართოდ შემუშავებული ეკონომიური პროგრამა, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარებას ხელი შეუშალა საერთაშორისო მდგომარეობამ. ეხლა ჩვენი მდგომარეობა თანდათან ირკვევა, დიდი სახელმწიფოები ცნობენ ჩვენ დამოუკიდებლობას, რაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენ გვყავს გაგზავნილი ეკონომიური კომისია ევროპაში სესხის ასაღებათ და ეკონომიურ საკითხების მოსაწესრიგებლად, ამ მხრით იმედი გვაქვს ახლო მომავალში გამოუშვათ საკუთარი ფული. აიღეთ იტალიის სახელმწიფო: იქ ისე გამწვავდა ეკონომიური მდგომარეობა, რომ სახელმწიფო თანდათან აუარებელ ვალებში ვარდება და ფულის კურსი დღითი დღე ეცემა. ჩვენ არ გვაქვს დიდი ვალები. ჩვენ გვაქვს დიდი ბუნებრივი სიმდიდრე და უკეთ შეგვიძლია მდგომარეობის მოგვარება. ჩვენ შემოვიღეთ მონოპოლია სავალიუტო საქონელზე მომარაგების სამინისტროს საშუალებით, რომელმაც შესძლო უცხოეთიდან მოეტანა დიდი პარტია პურისა. გაკვირებული იყვნენ საფრანგეთის დიდი კომერსანტები ამ გარემოებით, რადგანაც საერთოდ პურის შესყიდვა და შემოტანა ჩვენში ძნელი იყო. რომ ავიღოთ მარგანეცის მონოპოლია, რომელიც უწინ გაქონდათ 60 მილ. ფუთი, ეხლა რომ გავიტანოთ 40 მილ. ფ. და გავაფართოვოდ გაზიდვა, ჩვენ ხელშეკრულების ძალით მივიღებთ გადასახადის სახით 40 მილიარდ მან. რაც ჩვენ მდგომარეობას გააუმჯობესებს. გაზიდვას აქვს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი,—ეს არის გამამაგრებელი და განმამტკიცებელი ჩვენი ფულის კურსის. მაგ. მოვიყვან ფრანგების ჩვენთან დამოკიდებულებას. პირველად ფრანგები დიდი წინააღმდეგი იყვნენ ჩვენი დამოუკიდებლობის, მაგრამ, როცა ფრანგების კომერსანტებმა იყიდეს აბრეშუმის პარკი, ამას დიდი გაკვირვება გამოიწვია. ჩვენი დანარჩენი სიმდიდრე რომ ავიღოთ, მატყლი, ტყე და სხვა, ჩვენ შეგვიძლიან გავაფართოვოთ ეკონომიური პერსპექტივები. მეორე მხრით ჩვენ გვისაყვედურებდნენ, სპეკულიანტებს რათ არ ვლაგმავდით, მაგრამ ჩვენ ვერიდებოდით ეკონომიურ ცხოვრებაში არევდარევის შეტანას. რუსეთში ხვრეტავდნენ სპეკულიანტებს, მაგრამ იქ ამას ცხოვრების გაიაფება არ გამოუწვევია, პირიქით, გამოიწვია აუტანელი სიძვირე და საქონლის ბაზრიდან გაქრობა. სპეკულიაციას უნდა ებრძოლო არა სახრჩობელათი და ხიშტებით, არამედ საზოგადოებრივი წარმოების დაწყებით. უნდა შეგეძლოს მიტანა ყოველი საჭირო საგნების და სპეკულიაცია თავისთავათ მოისპობა. ჩვენი აგრარული პოლიტიკა და სოფლის მეურნეობა სწორი პოლიტიკის წყალობით საიმედო ნიშნებს იძლევა. ჩვენი ქვეყანა წვრილი სასოფლო წარმოების ქვეყანაა და ჩვენმა პოლიტიკამ ამ სფეროში განამტკიცა სოფლის მეურნეობის აყვავება. შემიძლია განვაცხადო, რომ წელს ჩვენ სამყოფი პური მოგვივა და უცხოეთიდან ცოტას შემოტანა თუ დაგვჭირდება. ჩვენ მუშებს ხუთჯერ მოუმატეთ, მაგრამ მე მაქვს სტატისტიკური ცნობები, ბაზარი მეტს უმატებდა და ეს მომატება ფაქტიურად არაფერს წარმოადგენდა. ფულის მომატება არ სწყვეტს საკითხს, თუ მას არ ახლავს სიმდიდრე. აქ არის ზოგიერთი კითხვები სადავო, რომელიც ეხება ჯამაგირების მომატებას. ამხანაგებმა უნდა მიიღონ მხედველობაში ეს ყოველივე მომატების დროს, რომ ამით ვერ გავაუმჯობესებთ მდგომარეობას, ხაზინას კი გამოვუთხრით ძირს. მომარაგების სამინისტროს დაარსებით ჩვენ გვინდა მივაწოდოთ მუშებს იაფათ სურსათ-სანოვაგე, რომ ამით დავუახლოვდეთ რეალურ ხელფასს. ჩვენ ვახერხებდით ზოგიერთ საჭირო საგნების მიწოდებას მუშებისათვის. აიღეთ პური, რომელიც ჩვენ გვიჯდება 20 მ. და მოსამსახურეს კი ვაძლევთ 3 მან. გირ. ეს ყველაფერი უნდა მიიღონ ამხანაგებმა მხედველობაში და ისე გადასინჯონ № 17 ბრძანება; ამის იმედი ჩვენ მუდამ გვქონია და გვაქვს. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

**მიქაიას** შეაქვს წინადადება გარდა სადაო მუხლებისა შეეხონ იმ მუხლებსაც, რომელზედაც შეთანხმება მოხდა. ეხებიან კითხვას 25 თუ 30 დღის პრინციპი.

**ი. გიორგაძე.** მომხრეა, რომ შემოღებულ იქნას სამუშაოდ 25 დღის პრინციპი და შემდეგ გადავიდეთ დარგობლივ მხარეების პრაქტიკულად განხორციელებაზე.

**დ. ულენტი.** სახელოსნოში და სხვაგან, სადაც ქარხნული წარმოებაა, მოხერხდა 8 საათ. სამუშაო დღის გატარება და სალიანდაგოში და მოძრაობის დარგში ეს არ მოხერხდა. ყველა დაბალი მუშა-მოსამსახურე სწორედ 30 დღის სამუშაო დროში მოექცა და ეს არ არის დასაშვები.

**სიხარულიძე.** სადაც მუდმივი ფიზიკური სამუშაო არის, იქ უნდა გატარდეს 25 დღის პრინციპი და სადაც 30 დღის არის, იქ ოთხი დღის კომპენსაცია.

**აკაკი ჭყონია და გოგიბერიძე.** ძალიან გაჭიანურდა ბრძანების გადაშინჯვა, კონსტიტუციის შემუშავება მოხდა და ამის დამუშავებას არაფერი ეშველა. სახელმწიფომ აუცილებლათ უნდა მოაწესრიგოს შრომის პირობები.

**ბახტაძე.** (შრომის მინ. ამხ. მე არ მეგონა, თუ 8 საათის განხორციელება გამოიწვევდა ამდენ გაუგებრობას. არ შეიძლება ისეთ დიდ დარგში, როგორიც რკ. გზაა, პირდაპირ გადმოტანა იმ წესების, რაც სხვა ქარხნულ წარმოებაშია. 25 დღეზე ლაპარაკი, ეს ყოვლად დაუშვებელია. განსაზღვრა იმის, რომ 25 დღე იქნეს სამუშაო დროთ, ყოვლად მიუღებელია, რადგანაც წლიურად გვაძლევს 1 მილიარდ 600,000 მ. ხარჯს, რომ 25 დღის პრინციპი გავატაროთ ყველა დარგში კითხვა უნდა იყოს, რამდენი დღე კომპენსაცია; სხვაფრივ შეუძლებელია კითხვის დასმა.

**ნ. ხომერიკი.** მარქსისტები მით განვსხვავდებით სხვებისაგან, რომ ჩვენთვის განყენებული საგანი, დოგმა არ არსებობს, ჩვენთვის არ არსებობს 8 საათის სამუშაო დრო, როგორც დოგმა. 8 საათის სამუშაო დროს ჩვენ იმიტომ მოვითხოვთ, რომ ჯანმრთელობისათვის ეს აუცილებელია და სადაც ეს შეიძლება იქ უნდა გავატაროთ, და, სადაც არა, იქ კომპრომისებზე უნდა წავიდეთ. შეთანხმება ზოგან აუცილებელია. უნდა ყოველივე მოთხოვნილებები შეფარდებულ იქნას ცხოვრებასთან. ჩვენ უნდა ვაწარმოვებდეთ რეალურ პოლიტიკას, უფრო პოლიტიკოსები უნდა ვიყოთ. საჭიროა ამ საქმეში კომპრომისი, სხვა მხრივ არ შეიძლება.

**კანდელაკი** (გზის უფროსი). პრინციპიალურად 8 საათის სამუშაო დღე ჩემთვის სრულიად გასაგებია. დღევანდელი მდგომარეობა გვიკარნახებს ჩვენ მიუახლოვდეთ რეალურ შესაძლებლობის ფარგლებს. თუ წარმოების დარღვევა გამოიწვია, მაშინ ჩვენ 10 საათიც უნდა ვიმუშაოთ. მე მინდა ვაღიარო აქ აშკარად, რომ № 17 ბრძანების გაფართოვება კი არა, მის შეკვეცაზე უნდა იყოს ლაპარაკი. მე მომხრე ვარ იმისიც, რომ კანტორის მოხელეები მუშაობდნენ არა 6 საათს, არამედ 8 საათს, რადგანაც ამას წარმოება მოითხოვს. 25 დღის განხორციელება რკ. გზაზე ტეხნიკურად შეუძლებელია. ყოვლად შეუძლებელია ადმინისტრაციამ მისცეს რკ. გზას გამოცდილი შტატი მოხელეებისა. მთავარ სახელოსნოს დარაჯებს უნდა ემუშავა 12 საათი, მე ამის მომხრე ვიყავი, წინააღმდეგ ცენტრ. გამგეობისა, რადგანაც მათი მუშაობა და რემონტის მუშაობაში განსხვავება არის. რაც შეეხება მაღალი ადმინისტრაციის ჯამაგირის მომატებას, ეს უნდა ხდებოდეს, რადგანაც ჩვენ გამოცდილ ტეხნიკოსებს და სპეციალისტ ინჟინრებს ვერ ვშოულობთ. ვინც არის, ისინიც გაქცევას აპირებენ.

**თ. მეგრელიშვილი.** უნდა გატარებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღე ისეთ მოსამსახურეებზე, რომელნიც დილიდან საღამომდე მუშაობენ, ფიზიკურ შრომას ეწევიან. არ არის მართალი, თითქოს მეისრეები ფიზიკურ ენერგიას არ ხარჯავდნენ. მოითხოვს მიღებულ იქნას ცენტ. გამგ. 4 დღის კომპენსაცია. ორატორები, ცომაია და სხვები მოითხოვენ ცენტრალური გამგეობის წინადადება 4 დღის კომპესენციის შესახებ მიღებულ იქნას. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება № 17 ბრძანების შესახებ ცენტრალურ გამგეობისაგან და აზრი და შეხედულება მთავრობის წარმომადგენლების და ადმინისტრაციის, ღებულობს ყოველივეს მხედველობაში და ანდობს ცენტრალურ გამგეობას მის მოწესრიგებას.

**გალო სკლიარი.**

(დასასრული იქნება)

**შეცდომის გასწორება.** ცენტერაძის მოხსენებაში სწერია: პარტიული კომისია. უნდა იყოს: **პარიტეტული კომისია.**

## ბათომის სახალხო გვარდია

10 ივლისს ბათომის საზოგადო საკრებულოში შესდგა ბათომის სახალხო გვარდიელთა კრება.

კრებაზედ, ადგილობრივ გვარდიელებს გარდა დაესწრო მთავარი შტაბის თავმჯდომარე ამხ. ვალიკო ჯუღელი, მთ. შტ. წევრები: ხარაში, ილ. ქარციძე, ნ. კახიანი, ბათომის და ბათომის ოლქის საგანგებო კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი და სხვადასხვა ორგანიზაციებისა და შტაბების წარმომადგენელნი.

კრება გახსნა დროებითი შტაბის თავმჯდომარემ ამხ. აფთონ წულაძემ, პირველად მთავარი შტაბის სახელით დღევანდელ თავისუფალ საზოგადო კრებას ულოცავს ამხ. ხარაში.

გურიის სახ. გვარდიის სახელით—მ. ბაჟუნაიშვილი, ს. დ. კომიტეტის სახელით—კ. გოგოლაძე,—შორაპნის სოოლქო შტაბის სახელით ს. გოცაძე და მთავრობის სახელით—ბათომის საგანგებო კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი, რომლის გამოსვლას კრება ტაშით და აღფრთოვანებით ეგებება. მთავარი შტაბის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ვალიკო ჯუღელი. ვალიკოს, როგორც სიტყვის დასაწყისში, ისე დასასრულ, კრება ოვაციებით ხვდება.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს აფთონ წულაძე. ის ვრცლად მოუთხრობს ბათომის სახალხო გვარდიის დაარსების ისტორიას. აღნიშნა, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა დროებით შტაბს. შემდეგ აღნიშნა სხვადასხვა პერიოდები შტაბის მუშაობისა და ხაზი გაუსვა ბათომის გადმოცემის ხანებში სახელმწიფო ქონების დაცვას გვარდიელების მიერ. დასასრულ მოუწოდა კრებას მოეხდინა ახალი არჩევნები. არჩეულ იქნა შტაბში 9 ამხანაგი: 1) ლადი დოლუბაია, 2) ვიქტორ ქედია, 3) დ. კუნჭულია, 4) ნესტ. ხორგუანი, 5) გერ. კალაძე, 6) ისაკი დოლიძე, 7) ანანია ლეჟავა, 8) ვანო ვაჩეიშვილი და 9) ბესარიონ კოპალეიშვილი.

**გ. ა—ბელი.**

## დემოკრატობა თუ ბიუროკრატობა?

ძველი რეჟიმის დროს ჩვენ მუშებს და საერთოდ დაბეჩავებულ ხალხს ვუხსნიდით, რომ არ ვარგა ბიუროკრატიული მართვა-გამგეობა, ის უნდა დაირღვეს და მის ნაცვლად დამკვიდრდეს დემოკრატიული, ხალხოსნური მართვა-გამგეობაო. სამწუხაროთ, ზოგიერთ არჩეულებს არ აქვთ სათანადო წარმოდგენა თავიანთ თავზე. ნაკლებად ესმით ის, რომ უფლებასთან ერთად მათ აქვთ დიდი მოვალეობა ხალხის წინაშე. ისინი ხშირად ამორჩეულების სურვილებს, თუ გინდა მცირე საქმეშიც, ნაკლებ ანგარიშს უწევენ და ასე, ამისთანეების წყალობით ჩვენს ხალხოსნურ მართვა-გამგეობას სახელი უტყდება. რასაკვირველია, მე აქ უფრო კონკრეტიულად და ხელდადებით არ აღვნიშნავ ამისთანა სამწუხარო ფაქტებს, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, ისეც მიხვდებიან, ვისკენაა მიმართული ეს წერილი. მართალია, სხვადასხვა ორგანოებში მოქცეულ პირებს დღეს დიდი მოვალეობა აწევთ, შეუძლიანთ ასე თუ ისე თავი იმართლონ ამა თუ იმ შემთხვევაში, მაგრამ მათ კარგათ უნდა ახსოვდეთ ის გარემოება, თუ რისთვის ვგმობდით ჩვენ ძველ რეჟიმს და ვთხოულობდით დემოკრატიულ წესწყობილებას. არჩეულებს უნდა კარგად ახსოვდეთ (ვინაიდან იმათ უფრო მეტი მოეთხოვებათ), რომ საშინელმა, კაცობრიობის გამანადგურებელმა ომმა მშრომელი ხალხის მდგომარეობა უკიდურესობამდე მიიყვანა. ის დღეს დიდ ეკონომიურ გასაჭირს განიცდის საერთოდ, და როცა ამისთანა გამწარებული მუშა ანუ ისე მოქალაქე თავისივე არჩეულიდან სიტყვით მაინც რიგიან პასუხს ვერ მიიღებს, ყველასთვის აშკარა წარმოსადგენია, რამდენად გაუტეხს ეს სახელს ჩვენს დემოკრატიულ მართვა-გამგეობას. ყველა არჩეულს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ის აოის ხალხისთვის და არა ხალხი მისთვის.

ამაშია პრინციპი და კარგი მხარე დემოკრატიული მართვა-გამგეობისა, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. დეე ყველამ თავისი საქმიანობით და მოქმედებით დაამტკიცოს თავის დემოკრატობა და ხალხის მოყვარეობა.

**დეპო.**

## ერთობის უბანი

ერთობის უბნის ეს სახელწოდება სამწუხაროდ მხოლოდ სახელწოდებათ რჩება, ნამდვილად კი ეს უბანი წარმოადგენს ლოთების უბანს.

ამ უბანში ლოთ-ნაძირალების და წვრილი მედუქნეების თავაშვებულ უწესობას საზღვარი არა აქვს, დღე რომ არ მივიღოთ მხედველობაში, მთელი ღამეების განმავლობაში მოსვენება არა აქვთ მშვიდობიან მცხოვრებთ.

განუწყვეტლივ გაისმის ღრიალი, ჩხუბი, ლანძღვა, გინება, დოლ-გარმონის ხმა და ასეთ „ქეიფს“ ხშირად შედეგად მოსდევს მკვლელობაც. უმთავრესად ყველა ეს უწესოება მიეწერება ამავე უბანში გახშირებულ წვრილ მედუქნეებს, რომელთაც გარედან ნახშირი ანუ თაბახით ხილი უდგათ, შიგნით კი ღვინით და სხვადასხვა მაგარი სასმელებით ვაჭრობენ ღამ-ღამობითაც. უწესოება იქამდის მივიდა, რომ საროსკიპოც კი შეჰქმნეს მაგ. ლიუტერანის ქუჩაზე, სადაც თავს იყრიან ნაძირალები და უზნეო ქალებთან ერთად ყვირილით და სხვადასხვა დასაკრავებით დღე და ღამ გულს უწუხებენ და ჩირქსა სცხებენ იქვე ახლო მცხოვრებთ. სამწუხაროდ ამავე, (მე-9) უბნის ადმინისტრაცია არ აქცევს სათანადო ყურადღებას აღნიშნულ უწესობას, თუმცა რამდენიმეჯერ ეს ვაჟბატონნი მედუქნენი წაყვანილ იქნენ კომისარიატში, მაგრამ ორი-სამი დღის ან რამდენიმე საათის შემდეგ კვლავ თავისუფლდებიან რაღაც მანქანებით და თავისუფლად უბრუნდებიან უწესოების გაგრძელებას, საჭიროა უსასტიკესი ზომები იქნას მიღებული შექმნილი უწესოების წინააღმდეგ, ვისგანაც ჯერ-არს, რომ დღის მუშაობიდან დაბრუნებულ მშრომელ ხალხს საშუალება მიეცეს დაისვენოს თავის ოჯახში, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. მასთან საჭიროა ზომები იქნას მიღებული ამავე უბანში უსუფთაობის წინააღმდეგ. საერთოდ საჭიროა მიექცეს ყურადღება განაპირა უბნებსაც. მილიციონერები ცენტრში არიან თავმოყრილნი და განაპირა უბნები უპატრონოდაა მიტოვებული.

**ვ. მეტრეველი.**

## მცხოვრებთა სოციალური დახმარება

გამგეობის პრეზიდიუმი დაბეჯითებით სთხოვს მოქალაქეთ არ გადასცენ შემოწირულება ისეთ პირებს, რომლებსაც არ აქვთ გამგეობისაგან ხელმოსაწერი ფურცელი საზოგადოების ბეჭდით და ხელმოწერილი თავმჯდომარის ათაბეგოვ-ტუმასის და მდივნის დრაევსკაიას მიერ. საზოგადოების გამგეობა ამავე დროს ითხოვს იქონიონ მხედველობაში, რომ მისი რწმუნებულნი ხელმოსაწერ ფურცლებით დაივლიან სავაჭრო სახლებს და დაწესებულებებს წინადადებით სოციალურ დახმარების მუდმივ დახმარების დაწესებაზე. სოციალური დახმარება უნდა მოეწყოს არა შემთხვევით შემოწირულებებით, არამედ სისტემატიურ, ყოველთვიურ გამორიცხვაზე (ყოველი თვის 26 რიცხვისთვის).

საზოგადოების გამგეობა ხსნის ამ ახლო დღეებში 2 ახალ სასადილოს ნაძალადევში და ვაგზლის ახლოს.

საზოგადოების გამგეობა ქალაქის გამგეობის სოციალურ დახმარების განყოფილებასთან ერთად მოუწოდებს მოქალაქეთ, თავი შეიკავონ მათხოვრებისთვის მოწყალების გაღებისაგან და დაეხმარონ მის აგენტებს და მილიციას რომლებიც ახდენენ მათხოვართა (ბავშვთა და მოზრდილთა) შეკრებას და გზავნას მათ განმანაწილებელ პუნქტში (დიდუბის ქ. № 17).

—

გამგეობის მდივანი იღებს თხოვნებს ყოველდღე გამგეობის ბინაზე (ალექსანდრეს ქ. № 42) დილის 9—10-მდე, ხოლო გამგეობის თავმჯდომარე 12—1 საათამდე. ქალაქის გამგეობის, შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილება გადმოვიდა ალექსანდრეს ქ. № 42.

## მუშათა შორის

**ხელზე მოსამსახურეთა კავშირი.**

ბ-ნი ალ. ალავიძე არ სცხრება. ის „კომუნისტის“ ფურცლებზე თავის მარგალიტებს აბნევს. ბ. ალავიზძე, თქვენმა წერილმა კი არ გამაბრაზა, არამედ—სიბრალური გამოიწვია ჩემში იმან, რომ თქვენ მოწამლული ხართ კომუნისტური შხამით, და გინდათ სხვებიც მოსწამლოთ, მაგრამ უძლური ხართ. მასწავლის თუ როგორ შევეხო საკითხს. დე მკითხველმა თვით დააფასოს, მიუძღვის თუ არა ბრალი გამგეობას იმაში, რომ კავშირში წევრების რიცხვმა იკლო. ბ. ალავიძემ არ იცის რამდენია წარმოება, მას კავშირის მდგომარეობაზე წარმოდგენა არ აქვს. ბ-ნი ალავიძე არა ნორმალურ პირობებში ჩააყენა „კომუნისტურმა რევოლიუციამ: 1) მას უნდა რაიმე ცრუ ცნობები შეკრიბოს, წყალი ამღვრიოს და შემდეგ თევზები იჭიროს და ამით, კომუნისტებს ნათლიმამობა გაუწიოს. მაგრამ მას იმედები არ უმართლდება, რადგანაც წევრები მის სამგმირო საქმეებს იცნობენ. ბატონი ალავიძე 1919 წ. იანვარში გამგეობის წევრად იყო და ის თავის ძმა-ბიჭებით საზოგადო კრებამ ივლისში 1919 წ. სამარცხვინო ბოძზე გააკრა. რისთვის? იმიტომ, რომ კავშირში არავითარი შემოქმედებითი მუშაობა არ იყო, ინტრიგა კი იყო და რომ დროზე არ მოესწროთ, კავშირი სულ დაინგრეოდა. რაც შეეხება ფინანსიურ მხარეს კავშირისას და იმ ფულს, რომელიც ძველმა გამგეობამ გადმოსცა ახალს, ალავიძეს არავითარი წილი არ მიუძღვის. ის ფული არის შემდგარი ვაგზლის და ბორჯომის ქონებიდან, და ასეთი თქვენი საქციელი საზოგადო კრებამ დააფასა. რაც შეეხება წესდების დარღვევას, ეს ტყუილია იმიტომ, რომ ყოველივე ხარჯი, რაც მოულოდნელად დაატყდა კავშირს, დამტკიცებულია დელეგატთა საბჭოს ყრილობის მიერ; ასე რომ, პირს ტყუილად ნუ იმწარებთ.

**პ. ლეჟავა.**

## პროვინცია

**თეკლათის თემი.** მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს. იშვიათად თუ ნახავთ სადმე ნაჭერ მიწას, რომელიც დამუშავებული არ იყოს, ან ისეთ ყანას, რომელსაც მოსავლიანობა არ ეტყობოდეს. ყოფილი მემამულეთა მიწები, რომლებიც ფონდში იყო მიღებული, უკვე დაიმუშავეს უმიწო-წყლო გლეხებმა, აგრეთვე დგანან სხვა საზოგადოებიდან სამუშაოდ ჩამოსული გლეხები. საფონდო მიწების დანაწილებას უმიწა-წყლოთა შორის ახდენს ადგილობრივი სააგრარიო კომისია. უმიწა-წყლოთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს შეძენილი მიწა საკუთრებად, რაც მიეწერება კომისიის მუშაობის სისუსტეს. მაგრამ კომისიის მუშაობა ეხლა თანდათან სწორდება, მიწების კონფისკაცია და დანაწილება სასწრაფოდ ხდება და მალეც დასრულდება.

სამაზრო ერობამ დამშეულებს ამას წინად ერთი ვაგონი სიმინდი მიაწოდა, რაც უკვე თემის გამგეობამ დაუნაწილა მცხოვრებთ საშუალო ფასებში, ქვრივობოლთ და უკიდურეს ღარიბებს—სესხის სახით. თუმცა ბევრგან უკვე შემოვიდა პური, მაგრამ დახმარების გაწევა ჯერ კიდევ საჭირო არის.

ადგილობრივი სამკითხველოს სახელზე ვღებულობთ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ სამკითხველოს არა აქვს საკუთარი ბინა და ამ ჟამად მოთავსებულია ქვედათეკლათის სკოლის შენობაში, სადაც ჟურნალ-გაზეთები დადის უწესრიგოდ. უფასოთ მიღებულ გაზეთებს გამგეობა ვერ უვლის, არა ყავს მცველი და სხ. საჭიროა ყურადღება!..

**X.**

—

**ახალქალაქი.** (გორის მაზრა) 12 ივლისს ახალქალაქს ესტუმრა დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. ისიდორე რამიშვილი. საათის 10-ზე გაიხსნა მიტინგი. ამხ. ისიდორემ ილაპარაკა მომენტზე, საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე და სხვა. ხალხი დიდის ყურადღებით უსმენდა. ილაპარაკეს სხვა ამხანაგებმაც. შესანიშნავი იყო ერთი ოსების ტყვეობიდან ახლათ დაბრუნებული გვარდიელის სიტყვა, რომელიც ოსებს ჯავიდან წაეყვანათ ტყვეთ და კავკავში გადაეყვანათ. აი რას მოუთხრობს კავკავიდან დაბრუნებული დამსწრეებს ბალშევიკურ სამეფოზე. ის ამბობს. ამხანაგებო! წინათ რომ ამბობდნენ, ან გაზეთებში კითხულობდნენ იმ საშინელებაზედ, რაც კავკავში ვნახე მე არა მჯეროდა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ იქ სულ ყველაფერი მინგრეულ-მონგრეულია, ხალხი ტიტველი დადის, არაფრის შოვნა არ არ არისო და სხ. მან ჩამოუთვალა საზღაპრო ფასები სხვადასხვა საგნებისა, რამაც ბევრი, აქამდის ურწმუნო, დარწმუნდა ბალშევიკურ „სამოთხის“ ნამდვილ მდგომარეობაში. მიტინგის დასასრულ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც იწონებენ მთავრობის პოლიტიკას, სალამს უძღვნიან მას, დამფუძნებელ კრებას, სახალხო გვარდიას, ჯარს და საერთაშორისო დემოკრატიას.

**გარეული.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ. მგალობლიშვილის მიერ გაზეთ „ერთობის“ მე-156 ნომერში მოთავსებულ წერილის ოფიციალურ პასუხად გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი:

ადერბეიჯანში გადატრიალების შემდეგ შესდგა რკინის გზის დაცვის ბიურო, რომელმაც წინადადება მისცა ვისაც ჯერ იყო დაეთვალიერებინა მთელი უბნები, რამდენათ მოსამსახურეები პირნათლად ასრულებდენ თავიანთ მოვალეობებს როგორც სადგურებზე, ისე ლიანდაგზე. ასეთი კომისია, მილიციის უფროსის ბ. გოგუას, უბნის უფროსის, ინჟენერ ხელაძის და პროფესიონალურ კავშირის რაიონულ გამგეობის ბ. გაგუასაგან შემდგარი მივიდა სადგურ ლიხში, სადაც იმ ჟამად მორიგეობდა ბ. მგალობლიშვილი. კომისია, სადგურის დათვალიერების შემდეგ, გზის მისაღებათ შევიდა სამორიგო ოთახში, მაგრამ მორიგე იქ არ დახვდა. დიდი ძებნის შემდეგ იგი აღმოჩნდა თავის ბინაზე. კომისიის საყვედურზე მან უპასუხა უდიერი მოპყრობით და ლანძღვით, რის შესახებაც წარმომედგინა ოქმი მთელი შემადგენლობის ხელმოწერით, რომელიც სრულ უტყუარ დოკუმენტათ უნდა ჩაითვალოს. ოქმი ეს წარვადგინე რკინის გზის დაცვის ბიუროში, რომელმაც გადასწყვიტა მისი კანტორის მოხელეთ ჩამოყენება, ხოლო ჩემგნით იქნა სისრულეში მოყვანილი. ამის შემდეგ ბ. მგალობლიშვილი გამოცხადდა ჩემთან და მის ნათქვამიდან აშკარად გამოირკვა, რომ აღნიშნულ შემთხვევას ის არ თვლის საკმარისათ, რომ მოსამსახურე რამე ნაირათ დაისაჯოს და ამის გამო მეც დამემუქრა, ამის შემდეგ გამოუცხადე, რომ ასეთ შეხედულების და უდიერათ მომპყრობ მოსამსახურეს რკინის გზებზე ადგილი არ ექნება. რკინის გზის დაცვის ბიურომ განიხილა რა ჩემი ასეთი მოსაზრება, დამეთანხმა და დაადგინა მგალობლიშვილის სრულიად სამსახურიდან დათხოვნა.

სახაზინო რკინის გზების უფროსი, ინჟენერი **ა. კანდელაკი.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


## განცხადებანი

17 ივლისს
**დაკარგე**
სამხედრო სამსახურის თავისუფლების მოწმობა მოცემული ქ. თფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაცემული ა. წ. 15 ივნისის თარიღით № 5080, ვაცხადებ გაუქმებულათ. ალექსანდრე ნიკოლაშვილი. (2366—1—1)

**16 ივლისს დაიკარგა ქალიშვილი**
**სათენიკ მურადიანცი**
10 წლისა, ტანზე ყვითელი ფერის კაბა აცვია, ფეხებზე—შავი ჩულქები და სანდლები. თუ ვინმემ რამე იცის აცნობეთ დამწუხრებულ მამას, ბაღდასარ მურადიანცს, ტრამვაის პარკში. (2356—1—1)

**ყ. სრულ-უფლებიან ვიმნაზიის გამგე მათემატიკის**
**მასწავლებელი**
**ი. მ. მაჩაიძე** იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვრის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს. (2307 1—1

**განცხადება**
**დაეკარგე** პირადობის მოწმობა, რომელიც მქონდა ქალ. თფილისის მილიციის უფროსისაგან მოცემული და ითვლება გაუქმებულათ. ირაკლი შარვანის ძე კიკაბიძე. (2364 1—1)

**იყიდება**
**საკერავი მანქანა-შკაფი**
**ზინგერის სისტემისა.**
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

დ ო ქ ტ ო რ ი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ე ქ ი მ ი
**კ. გ. კართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ე ქ ი მ ი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქ. № 33. (1288 25—4)

**ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი**
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დღისით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ე ქ ი მ ი
გენრიხ ისაიას ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ე ქ ი მ ი
**გ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ე ქ ი მ ი
ხილომონ ისაიას ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ე ქ ი მ ი
**ნ. მ. გაჩეჩილაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავადმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

# გაიცემა

ერთ ნათელ ოთახს ელექტრონის განათებით, რომელიც მიჰირავს პარალელურ ქუჩაზე; ასეთსავე ოთახზედ ვარდისუბნის ან მატინოვის ქუჩის მახლობლად. მსურველებმა მომმართონ: გრიბოედოვის ქ. 22, ლომაძე. (2357—1—1)

# თოთხმეტ ამ თვეს

ფაიტონში დამრჩა პორტფელი საბუთებით. მნახველს ვთხოვ გადასცეს მიწათმოქმედების სამინისტროში, სახელმწიფო მამულების განყოფილების გამგეს მიხაილ ახალაძეს. მიმტანი მიიღებს ჯილდოს ათას მანეთს.

(2353—1—1) ყარაიაზის მამულის გამგე კიკნაძე.